


ღებბჟი თემის სოციალური
და ეკონომიკური საჭიროებების
კვლევა საქართველოში

2022

აღნიშნული კვლევა მომზადდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით.

დათქმა: დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.



კვლევის ავტორი: **ლიკა ჯალაღანია**

თვისებრივი კვლევა მოამზადა **CRRC საქართველომ**

ყდის დიზაინი: **ნიკო ნიკოლაძე**

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან/და გავრცელება კომერციული მიზნით „თანასწორობის მოძრაობის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: უ. ჩხეიძის ქუჩა № 19, თბილისი, საქართველო

<http://www.equality.ge/>

<https://www.facebook.com/equalitymovementgeorgia/>

გამოყენებული ტერმინები.....	4
1. შესავალი	6
2. ძირითადი მიგნებები	7
3. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო	10
4. ლგბტქი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში.....	11
5. განათლების უფლება.....	13
5.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	13
5.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები.....	15
5.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი.....	17
6. შრომის უფლება.....	23
6.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	23
6.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები.....	24
6.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი.....	27
7. ჯანმრთელობის უფლება.....	31
7.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	31
7.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები	33
7.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი	35
8. სოციალური დაცვა.....	41
8.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	41
8.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები	42
8.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი	44
შეჯამება და რეკომენდაციები	52
დანართი 1 - ლგბტქი თემის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების რაოდენობა.....	55

გამოყენებული ტერმინები

გეი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულიზურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებაში და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებსა“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება გამოვლინდეს იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა ადამიანი თავისი დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია – დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ სტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტქი – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – აღნიშნული ტერმინი შეესაბამება უფრო სექსუალურ ქცევას, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის აღსაწერად, რომელსაც სექსი აქვთ მამაკაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სისგენდერი – ტერმინი სისგენდერი მიესადაგება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისას მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესსა და იმ სოციალურ მოლოდინს, რომელიც მის გენდერს მიემართება.

სქესი – მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრისა და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი/ტრანსი* – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრანსვესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრეჯერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი კაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს თავის, როგორც კაცის, იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ კაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითიდენტიფიკაციას ახდენს, როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას.

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა.

ჰეტეროსექსიზმი – რწმენა, რომ ჰეტეროსექსუალობა არის უმაღლესი (რელიგიურად, მორალურად, სოციალურად, ემოციურად და სხვ.) სხვა სექსუალობებთან მიმართებით; პრეზუმფცია, რომ ყველა ადამიანი ჰეტეროსექსუალია; რწმენა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი. როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, ჰეტეროსექსიზმი უარყოფითად აისახება ლგბტქი ადამიანებსა და, ასევე, ზოგიერთ ჰეტეროსექსუალ ინდივიდზეც, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობისა და ფემინურობის ტრადიციულ გაგებას.

ჰეტეროსექსუალი – ემოციური, რომანტიკული და სექსუალური კავშირის/გრძნობის ქონა სანინაალმდეგო სქესისა და გენდერის მქონე ადამიანის მიმართ.

1. შესავალი

ღებტი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობისა და მათი სოციალური ინკლუზიის ხარისხის ანალიზი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რაც გულისხმობს ჯგუფის მონყვლადობის ფუნდამენტური მიზნების იდენტიფიკაციას და მათი ურთიერთგადაკვეთის ასპექტების გამოაშკარავებას. ღებტი თემის ჩაგვრის ანალიზი ხშირად იდენტობაზე დაფუძნებულ ჩაგვრას მხოლოდ კულტურულ გამოხატულებებსა და სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების დარღვევაში ხედავს, აღნიშნული კი ანალიტიკური ველიდან გამოტოვებს განცდილი დისკრიმინაციისა და ძალადობის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რაც ღებტი ჯგუფის სიღარიბეში, პრეკარიულობასა და სოციალურ მონყვლადობაში გამოიხატება. ჩამოთვლილი ფაქტორები არსებითად აუარესებს ჯგუფის კეთილდღეობასა და ღირსეული ცხოვრების შანსებს.

უფლებათა დაცულობის თვალსაზრისით ღებტი ადამიანები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან. ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ისინი უთანასწორო მოპყრობის ან ამგვარი მოპყრობის რისკის წინაშე დგანან. საზოგადოებაში არსებული ჰეტეროსექსიზმი და „ქამინგაუთთან“ დაკავშირებული შეზღუდვები თუ თვითშეზღუდვები განსაკუთრებული სიმწვავეთ აისახება ღებტი ჯგუფის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობის უფლების განხორციელებაზე და შრომითი უფლებების დაცვაზე. ამ გამოწვევების ურთიერთკავშირი წარმოშობს, სოციალური გარიყულობისა და სიღარიბის ციკლს/ქსელს, რომლისგან თავის დაღწევა არსებით სირთულეებთან არის დაკავშირებული.¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ღებტი ჯგუფის აღიარების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, გაუმჯობესდა კანონმდებლობა და ჩამოყალიბდა გარკვეული პოლიტიკური მიდგომები, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პრაქტიკაში არასრულყოფილად ხორციელდება. შედეგად, შეცვლილი საკანონმდებლო/ინსტიტუციური გარემო ვერ აისახება ღებტი ადამიანთა ცხოვრებაზე, რადგან სახელმწიფოს არ აქვს ხედვა და პოლიტიკური ნება, ფორმალურ გადაწყვეტილებებს მიღმა რეალურად აღმოფხვრას ღებტი ადამიანთა ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და ძალადობის საფუძველმდებარე მიზნები და იზრუნოს მათ პრევენციაზე. ამას მოწმობს წინამდებარე დოკუმენტში განხილული ვლევებიც, რომელთა მიხედვითაც, წინა წლების მსგავსად, სახელმწიფოს ანტიკრიზისული პოლიტიკა კვლავ ვერ პასუხობს ღებტი პირთა საჭიროებებს, რაც უარყოფითად აისახება თემის წევრების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამის კიდევ ერთი დასტურია პანდემიის დაწყებიდან დღემდე საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასული თემის წევრების რაოდენობაც.²

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ღებტი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას, ანალიზს და ძირითადი გამოწვევების გამოვლენას. კვლევის შედეგების საფუძველზე შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მიეცემათ რეკომენდაციები, რათა ხელი შეეწყოს ღებტი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მონყვლადობის პრობლემატიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სამთავრობო უწყებების მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმების დანერგვა-ამოქმედებას და მათ ეფექტიანად განხორციელებას პრაქტიკაში.

¹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ღებტი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, გვ. 7, იხ: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf>

² კოალიცია თანასწორობისთვის, დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2021 წლის ანგარიში, გვ. 49, იხ: https://wisg.org/Data/docs/publications/annual-reports/EC_DISCRIMINATION_ANNUAL-REPORT-2021_GE.pdf

2. ძირითადი მიზნები

წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ბოლო წლებში კანონმდებლობისა და პოლიტიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, ლგბტქი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში კვლავ მძიმეა. საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების პრაქტიკული დანერგვის პროცესში არსებული გამოწვევები და კრიტიკული ჩავარდნები ლგბტქი თემს კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ ამყოფებს. სახელმწიფო კვლავ არ ზრუნავს ადეკვატურად ლგბტქი თემის მოწყვლად ნაწილზე, არ იცავს მათ და არ უჭერს მხარს, რაც თემის წევრების სოციალური მოწყვლადობით, სიღარიბესა და მათ მიმართ უთანასწორო მოპყრობის მრავალი ფორმით ვლინდება.

ლგბტქი თემის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს აჩვენებს წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული თვისებრივი კვლევაც, რომელმაც ქვემოთ მოცემული მნიშვნელოვანი შედეგები გამოავლინა:

- ლგბტქი თემის წევრებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები სხვადასხვა ურთიერთგადაძვეთი ფაქტორით ვლინდება, თუმცა მათი გამოცდილებები სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეში ჰომოგენური არ არის. ნაწილი დადებითად იხსენებს სკოლის პერიოდს და აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის და ბულინგის გამოცდილება არ ჰქონია, თუმცა რიგ შემთხვევებში ეს ხდებოდა საკუთარ იდენტობის დამალვის ხარჯზე. რესპონდენტთა მეორე ნაწილი საუბრობს დისკრიმინაციასა და ბულინგზე სკოლაში, რისი მიზეზიც არა მხოლოდ გენდერული იდენტობა, არამედ ზოგადად, განსხვავებული მახასიათებლები იყო (მაგ: ჩაცმის სტილი, გარეგნობა, ეთნიკური ნიშნები და ა.შ.) რესპონდენტებმა გაიხსენეს როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები.
- სკოლასთან შედარებით ნაკლებად დისკრიმინაციული გარემო იყო უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც რესპონდენტებს, მათივე თქმით, განსხვავებულად მოაზროვნე და შედარებით უფრო ტოლერანტული ადამიანები დახვდნენ. ამის მიუხედავად, უნივერსიტეტშიც არსებობდნენ ჰომოფობიურად განწყობილი სტუდენტები და ლექტორები.
- თემის წარმომადგენლები განსხვავებულ შემთხვევებს გვიყვებიან დასაქმებასთან დაკავშირებით. ნაწილი ამბობს, რომ მათთვის დასაქმება განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს; როგორც წესი, ეს ადამიანები მუშაობენ მომსახურების სხვადასხვა სფეროში (მაგ: მიმტანებად, ბარმენებად, კონსულტანტებად და სხვ.) და სათემო ორგანიზაციებში. მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, რომ თემის წარმომადგენლებს ხშირად შექმნიათ პრობლემა მათი გენდერული გამოხატვის, გარეგნობის თუ ჩაცმის სტილის გამო. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც მათ ჰომოფობიური დამოკიდებულების გამო სამსახურის დატოვება უწევთ.
- შრომით ბაზარზე ყველაზე დიდი დაბრკოლებებს ტრანსგენდერი ქალები აწყდებიან. დამსაქმებლები მათ ხშირად უარს ეუბნებიან გენდერული გამოხატვის გამო, რის შედეგადაც, ძირითად ფინანსურ წყაროდ სექს-სამუშაო იქცევა, ამ დროს კი ხშირია დისკრიმინაციისა და ძალადობის ფაქტები.

- ეკონომიკური ბარიერებიდან გამომდინარე ლგბტქი თემის წევრებისთვის დიდი გამოწვევაა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: უმუშევრობა მაღალია, ხელფასები – დაბალი, საყოველთაო დაზღვევა საჭიროებების მხოლოდ მცირე ნაწილს აკმაყოფილებს, კერძო დაზღვევა კი არ მოიცავს სექსუალურ თუ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს. ეკონომიკური წინააღობები ყველაზე მეტად ტრანსგენდერ ადამიანებს ეხებათ. ისინი საკმაოდ ძვირადღირებულ სამედიცინო სერვისებს საჭიროებენ, იქნება ეს ჰორმონალური თერაპია, ქირურგიული ჩარევა თუ სხვა. მართალია, სათემო არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ სერვისებს (მათ შორის სერვისებს, რომლებიც საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი ქვეყანაში) სთავაზობენ თემის წევრებს, მაგრამ შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, მოთხოვნას სრულად ვერ აკმაყოფილებენ. სათემო ორგანიზაციები ამ სერვისების გაცემით დროებით საკუთარ თავზე იღებენ სახელმწიფოს ვალდებულებებს, მაგრამ შესაბამისი სამედიცინო ლიცენზიის არ ქონის გამო სერვისების გარკვეულ კატეგორიას ისინი ვერასოდეს გასცემენ.
- ეკონომიკურ ბარიერებთან ერთად, რესპონდენტთა ნაწილი საუბრობს დისკრიმინაციულ მოპყრობაზე ჯანდაცვის სფეროში. სახეზეა შევიწროების, ბულინგის, შეურაცხყოფის, უხეში მოპყრობისა და დამცინავი დამოკიდებულების შემთხვევები სამედიცინო პერსონალის მხრიდან, ვანყდებით სამუშაო ეთიკისა და კომპეტენციის ნაკლებობას და ჰეტერონორმატიულ დამოკიდებულებას. კონფიდენციალურობის დარღვევის ან დისკრიმინაციული მოპყრობის შიში ლგბტქი თემის წევრებს უარს ათქმევინებს გარკვეული სერვისებით სარგებლობაზე ან აიძულებს დამალონ საკუთარი იდენტობა თუ ორიენტაცია. ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე საჭირო სერვისად, ვინაიდან თემის წარმომადგენლებს ტრავმულ გარემოში ცხოვრება უწევთ. მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება ტრანსგენდერი ადამიანების ტრანზიციის პროცესისთვის აუცილებელი სერვისები.
- სოციალური სერვისების გარკვეული ნაწილს თვითონ რესპონდენტები არ იყენებენ, რისი მიზეზიც ინფორმაციის ნაკლებობაა. თემის წევრებს ინფორმაციით, ზოგადად, ლგბტქი ჯგუფს სოციალური დაცვის თუ საცხოვრისის სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდება. ხელმისაწვდომობას ზღუდავს დისკრიმინაციული გარემოც. სოციალურ სერვისებს მხოლოდ არასამთავრობო სათემო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ (მაგ: საცხოვრისით უზრუნველყოფა რამდენიმე თვის განმავლობაში, საკვები პროდუქტების ვაუჩერები და ა.შ.)
- რესპონდენტებს ოჯახთან ურთიერთობის სხვადასხვა გამოცდილება აქვთ: ნაწილმა გაამჟღავნა საკუთარი გენდერული იდენტობა თუ სექსუალური ორიენტაცია და კარგი ურთიერთობა აქვს ოჯახის წევრებთან; ნაწილს არ გაუმჟღავნებია, რადგან იცის მათი ჰომოფობიური დამოკიდებულებების შესახებ და გარკვეული შეზღუდვებით უწევს ცხოვრება, რომ ეს ინფორმაცია ოჯახის წევრებამდე არ მივიდეს; ნაწილს კი ოჯახთან რთული და პრობლემური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა; კიდევ ერთ ნაწილს აქვს ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის, სახლიდან გაგდების ან გაგდების მუქარის გამოცდილება. ისინი აღნიშნავენ, რომ უსახლკარობა თემში ხშირია, განსაკუთრებული სიმწვავეთ კი ამ პრობლემას ტრანსგენდერები აწყდებიან.
- კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ თავშესაფარი უმნიშვნელოვანესია ლგბტქი თემის წევრებისთვის და ხაზს უსვამენ ასპექტებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია თავშესაფრის არსებობის შემთხვევაში: საზოგადოების აგრესიისგან თავდასაცავის მიზნით ადგილმდებარეობა მკაცრად

გასაიდუმლოებული უნდა იყოს; თავშესაფრის არსებობა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია თბილისში, შემდეგ კი სხვა დიდ ქალაქებში, მოთხოვნის შესაბამისად; თავშესაფარი უნდა იყოს დროებითი, იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფს განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურებას და განვითარების სხვა შესაძლებლობებს; აუცილებელია პერსონალის გადამზადება მრავალფეროვნების მიმართ მიმღებლობის გასაზრდელად და დისკრიმინაციული მიდგომების თავიდან ასაცილებლად.

3. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში განხორციელდა **სამაგიდე კვლევა**, რომელმაც მოიცვა ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ შექმნილი სტანდარტები, მეორე მხრივ კი – საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზი ლგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე მათი გავლენის კუთხით.

ანგარიშში ასევე წარმოდგენილია **თვისებრივი კვლევის შედეგები**, რომლებიც ლგბტქი თემის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს და გამოწვევებს ეხება საზოგადოების სხვადასხვა შრეში. კვლევა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ლგბტქი თემის გამოწვევები სკოლაში, უმაღლეს/პროფესიულ სასწავლებლებსა და შრომით ბაზარზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ბარიერები ჯანდაცვის სერვისების მიღებისას, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ოჯახთან ურთიერთობა და საცხოვრისის (მათ შორის თავშესაფრის) საკითხები.

თვისებრივი კვლევა მოამზადა არასამთავრობო, არაკომერციულმა კვლევითმა ცენტრმა, CRRC-საქართველომ.³ ზემოხსენებული საკითხების სიღრმისეულად შესასწავლად და ლგბტქი ჯგუფის საჭიროებების გამოსაკვეთად კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ფოკუს-ჯგუფი და 8 სიღრმისეული ინტერვიუ უშუალოდ ლგბტქი თემის წარმომადგენლებთან - 2022 წლის 5 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით, „ზუმის“ პლატფორმის მეშვეობით.

ფოკუს-ჯგუფებიდან 2 ჩატარდა გეი კაცთან, 2 - ლესბოსელ ქალთან, 2 - ბისექსუალ კაცთან, 2- ბისექსუალ ქალთან და 2 - ტრანსგენდერ ქალთან. თითოეულ შემთხვევაში ერთი/პირველი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა თემის თბილისში მცხოვრებ წარმომადგენლებთან, ხოლო მეორე - რეგიონებში მცხოვრებ რესპონდენტებთან. თითოეულ ფოკუს-ჯგუფს საშუალოდ 6-8 მონაწილე ესწრებოდა, გარდა ტრანსგენდერი ქალების ფოკუს-ჯგუფებისა, სადაც 3 და 4 რესპონდენტი იყო წარმოდგენილი.⁴

ტრანსგენდერი კაცებისა და არაბინარული იდენტობის მქონე პირების შემთხვევაში გამოიყენებოდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. შედეგად, 4 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ტრანსგენდერ კაცთან და 4 - არაბინარული იდენტობის მქონე ადამიანთან, რომელთაგან ერთ-ერთმა ინტერვიუს დროს თავი ტრანსგენდერ ქალად წარადგინა. რესპონდენტთა შერჩევა და კვლევაში ჩართვა განხორციელდა ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით.

ფოკუს-ჯგუფების საშუალო ხანგრძლივობა 1 საათი და 15 წუთი იყო, ხოლო ინტერვიუების - 50 წუთი. ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების ჩანაწერების ტრანსკრიპტების მომზადების შემდეგ მონაცემები დაჯგუფდა და გაკეთდა მათი თვისებრივი ანალიზი, რაც წარმოდგენილია „კვლევის შედეგების“ თავში.

³ <https://crrc.ge/en/>

⁴ ლგბტქი თემის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების რაოდენობა იხილეთ პირველ დანართში.

4. ლგბტქი ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში

პოლიტიკის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიუხედავად, ლგბტქი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში კვლავ მძიმეა. ქვეყანამ ბოლო ათწლეულის მანძილზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და პოლიტიკური რეფორმები განახორციელა, რის შედეგადაც აიკრძალა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია და გაძლიერდა თანასწორობის პრინციპი. მას შემდეგ ლგბტქი ჯგუფის საქართველოს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სტრატეგიებში მოიაზრება და შედის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს გეგმებშიც, რაც უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

თუმცა, მიუხედავად ცვლილებებისა, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებში განერილი ეროვნული ვალდებულებების პრაქტიკული განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევები და კრიტიკული ჩავარდნები ლგბტქი ჯგუფს კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ ამყოფებს. სახელმწიფო კვლავ არ უზრუნველყოფს ლგბტქი თემზე ადეკვატურ ზრუნვას, მხარდაჭერასა და დაცვას. ხშირად სახელმწიფოს მაღალი რანგის წარმომადგენლები თავადვე უწყობენ ხელს ჯგუფის სტიგმატიზებას, ახალისებენ ნეგატიურ განწყობებს და ძალადობას.⁵ როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში მიუთითებს, „საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლგბტ+ ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფია და თანადროულად განიცდის ინსტიტუციური ჰომოფობიის, ნეგატიური საზოგადოებრივი დამოკიდებულებებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მძიმე გავლენებს. ანგარიშმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ლგბტ+ ჯგუფის მიმართ არ არის თანმიმდევრული და არ ეფუძნება ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რაც ასევე ნათლად ჩანს საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სისუსტეში - სახელმწიფო იღებს საკანონმდებლო ან პოლიტიკის ზომებს, რომლებიც რეალურ ცხოვრებაზე არ აისახება და ლგბტ+ ჯგუფის ცხოვრების ხარისხს ვერ აუმჯობესებს.“⁶

მეორე მხრივ, შეიმჩნევა მცირე პროგრესი ლგბტქი ჯგუფის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების/განწყობის თვალსაზრისით. როგორც ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2022 წელს განხორციელებული კვლევა მიუთითებს: „2016 და 2021 წლების კვლევების შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ლგბტქი ადამიანების უფლებრივი თანასწორობის მიმართ. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ლგბტქი თემის წევრთათვის ცალკეული უფლების შეზღუდვას ემხრობა, მკვეთრად შემცირებული. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება ავტომატურად არ კონვერტირდება პოზიტიურ დამოკიდებულებებში“⁷ – რაც შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ „ლგბტ(ქ)ი ადამიანების საკითხებთან დაკავშირებით ნეგატიური პოზიციის ღიად გამოხატვა ნაკლებად მისაღებად ითვლება.“⁸

⁵ მაგალითისთვის იხილეთ, საქართველოს პრემიერ მინისტრის საკარო გამოსვლა 2021 წლის 5 ივლისის მოვლენასთან დაკავშირებით: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31345862.html>

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2022, გვ. 60

⁷ ადდგომელაშვილი ე. და სხვები (2022). წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol.2 საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, გვ. 20, იხ: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_From%20Prejudice%20to%20Equality-Part%202-web%20.pdf

⁸ იქვე

აღნიშნულ, თუნდაც მცირე ცვლილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ლგბტქი ჯგუფის მიმღებლობისა და კეთილდღეობისთვის, ისე ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, ქვეყანაში არსებული სოციალური კრიზისი, სიკეთეების არათანაბარი გადანაწილება, მოსახლეობის სიღარიბე და სოციალური დაცვის გაუმართავი სისტემები მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ადამიანებისთვის და ხელს უშლის მათ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობაში. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისები ყველაზე მეტად ისევ მოწყვლად ჯგუფებს აზიანებს, მათ შორის არიან: ქალები, შშმ პირები, სოფლად მცხოვრები და უფროსი ასაკის მოსახლეობა და ლგბტქი ადამიანები.

ამრიგად, კულტურული უთანასწორობა გამოიხატება არა მხოლოდ დისკრიმინაციასა და ძალადობაში, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობასა და სიღარიბეშიც. თუმცა, სექსუალობასა და სიღარიბეს შორის არსებული აშკარა კავშირის მიუხედავად, აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის ნაკვლევია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. ამის მიზეზი კი ხშირად სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების არასრულყოფილი შესწავლა და სექსუალობის ცნების ვიწრო აღქმაა. SIDA-ს მიმოხილვის მიხედვით, „ადამიანის უფლებათა მიდგომამ უნდა შეინარჩუნოს თავად უფლებების განუყოფლობისა და მთლიანობის პრინციპი და აღიაროს სექსუალური უფლებების ურთიერთდამოკიდებულება ჯანმრთელობის, ადეკვატურის საცხოვრისის, კვებისა და დასაქმების უფლებებთან. თუ სიღარიბე გაგებულია არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ გაიგება გარიყულობად, ავადყოფნად და შესაძლებლობებისა და თავისუფლების შეზღუდვად, მაშინ სექსუალური უფლებების ნაკლებობა თავისთავად წარმოადგენს სიღარიბეს.“⁹ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით კი – სექსუალობა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს იმასაც, თუ რა ახდენს მასზე გავლენას – „სექსუალობაზე გავლენას ახდენს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ეთიკური, სამართლებრივი, ისტორიული, რელიგიური და სულიერებასთან დაკავშირებული ფაქტორები“.¹⁰

SIDA-ს მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ სიღარიბე გაცილებით ფართო ფენომენია, ვიდრე მატერიალური გაჭირვება, რადგან ღარიბი ადამიანებისთვის, სხვა სახის გარიყულობა შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ეკონომიკური გარიყულობა. დოკუმენტი იყენებს რობერტ ჩემბერსის მიერ შექმნილ ჩარჩოს სიღარიბის მრავალი განზომილების შესახებ (Web of Poverty's Disadvantages), რომელიც ხაზს უსვამს სიღარიბის ისეთ ასპექტებს, რომლებიც როგორც წესი, არ ხვდება განვითარების პოლიტიკის ვიწრო ეკონომიკურ ჩარჩოებში.¹¹ ჩემბერსის მიხედვით, სიღარიბე შეიძლება მოიცავდეს მრავალ ისეთ ურთიერთდაკავშირებულ განზომილებას, როგორიცაა: მატერიალური სიღარიბე, ფიზიკური ავადმყოფობა, დაუცველობა, დროის სიმცირე, ინსტიტუტები და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ნაკლებობა და პოლიტიკური გავლენა, იურიდიული და სოციალური არასრულფასოვნება, ზემოქმედება სოციალურ ურთიერთობებზე და ა.შ. ამ განზომილებებიდან ჩანს, ერთი მხრივ, თუ როგორ მოქმედებს სექსუალობისა და გენდერის ირგვლივ არსებული ნორმები კეთილდღეობაზე, ხოლო მეორე მხრივ – როგორ გავლენას ახდენს სიღარიბე და მოწყვლადობა ურთიერთობებზე ან სურვილების განხორციელების შესაძლებლობაზე.

⁹ Henry Armas (2007) Whose Sexualities Count: Poverty Participation and Sexual Rights, IDS Working Paper 294, Brighton: IDS., p.3 (როგორც ციტირებულია, SIDA (2010) Poverty and Sexuality: What are the connections? Overview and Literature Review)

¹⁰ იხ: <https://www.who.int/teams/sexual-and-reproductive-health-and-research/key-areas-of-work/sexual-health/defining-sexual-health>

¹¹ SIDA (2010) Poverty and Sexuality: What are the connections? Overview and Literature Review, გვ. 13-14

5. განათლების უფლება

5.1. საერთაშორისო სტანდარტი

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა მკაფიო სამართლებრივი გარანტიები შექმნეს და სახელმწიფოებს ცხადი პოლიტიკური ვალდებულებები დააკისრეს ბავშვების ძალადობისგან დაცვისა და განათლების უფლებაზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.¹² განათლების უფლება და საგანმანათლებლო სივრცეებში ძალადობისგან დაცვის ვალდებულება ვრცელდება ყველა სახის, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის თუ სქესობრივი მახასიათებლების საფუძველზე დისკრიმინაციასა და ძალადობაზე.

საერთაშორისო ვალდებულებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იუნესკოს კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960 წ.), რომელიც ადგენს განათლების შესაძლებლობების თანასწორობის პრინციპის განხორციელების ვალდებულებას ყველასათვის (მუხლი 1). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს პაქტის (1966 წ.) მე-13 მუხლი ასევე აღიარებს ყველა უფლებას განათლებაზე და ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას ინდივიდების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. დოკუმენტის მიხედვით, განათლებამ უნდა გააძლიეროს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პატივისცემა. განათლების უფლებაზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სამართლებრივად მავალდებულებელ სტანდარტს ადგენს ასევე გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1990 წ.). კონვენციის 28-ე მუხლი ბავშვთა უფლებების დაცვაზე კონცენტრირდება მათთვის განათლების უფლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების გზით. კონვენცია ასევე ავალდებულებს სახელმწიფოებს რომ დაიცვას ბავშვები ყველა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, მათ შორის საგანმანათლებლო სივრცეებში. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით შეეხება იმ ბავშვებს, ვინც სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის რისკის ქვეშ არის. აღნიშნულს ადასტურებს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ავტორიტეტული კომენტარიც, სადაც აღნიშნულია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას შეეხება, ასევე ფარავს ბავშვების სექსუალურ ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობის საკითხებს¹³. კომიტეტი ასევე გამოყოფს ბულინგის პრობლემას საგანმანათლებლო სივრცეებში და აღიარებს, რომ ბულინგი ხშირად მიმართულია იმ ბავშვების მიმართ, ვინც პოტენციურად მოწყვლად მდგომარეობაშია, მათ შორის არიან „გეი, ლესბოსელი, ტრანსგენდერი და ტრანსსექსუალი ბავშვები.“¹⁴

საქართველოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG's), რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნას ყველასათვის.¹⁵ SDG-ის მე-4 მიზანი მე-7 ამოცანის ქვეშ იღებს სახელმწიფო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ყველა მოსწავლე მიიღებს მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად საჭირო ცოდნას

¹² CoE, Safe at school: Education sector responses to violence based on sexual orientation, gender identity/expression or sex characteristics in Europe, გვ. 25, იხ: <https://rm.coe.int/prems-125718-gbr-2575-safe-at-school-a4-web/16809024f5>

¹³ UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24): <http://www.refworld.org/docid/51ef9e134.html>; ასევე, UN Committee on the Rights of the Child, Concluding Observations on the combined second to fourth periodic reports of Iraq, პარ. 19 and 27, CRC/C/IRQ/CO/2-4 (2015): http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/IRQ/2-4&Lang=en

¹⁴ UN Committee of the Rights of the Child, General Comment No. 13 (2011), გვ. 9-10: <http://www.refworld.org/pdfid/50a0cd982.pdf>

¹⁵ UN, Sustainable Development Goals, Goal 4

და უნარებს, მათ შორის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისკენ მიმართული განათლების მეშვეობით.

მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის დასაწერად გაეროს ინსტიტუციებმა შეიმუშავეს ინჩეონის დეკლარაცია (განათლება 2030) და მოქმედების ჩარჩო.¹⁶ ერთ-ერთი ამოცანის ინდიკატორის მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების 4.7. ამოცანა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება, კლიმატის ცვლილება და პასუხისმგებლიანი და მონაწილეობითი მოქალაქეობა. ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი შესაძლებლობა ორივე სქესის და ყველა ასაკის ადამიანისთვის, რომ მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში შეიძინონ განათლება, უნარები, ღირებულებები და ის დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროა მშვიდობიანი, ჯანსაღი და მდგრადი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.¹⁷

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5, რომელიც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას შეეხება, სხვა საკითხებთან ერთად სპეციფიკურად მოიცავს განათლების უფლების დაცვის ვალდებულებას წევრი სახელმწიფოების მიერ. რეკომენდაციის მიხედვით:

„ბავშვთა უპიჩატესი ინტეგრირების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი სამაჩტებრივი და სხვა ზომები, რომლებიც მიემაჩთება საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე ადამიანებსა და მოსწავდეებს, ხათა უზრუნველყონ განათლების უფლების ეფექტიანი დაცვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გახეშე. აღნიშნული მოიცავს, ბავშვებისა და მოზახდების განათლებაზე წვდომას უსაფხტხო გახემოში, ხომელიც თავისუფალი იქნება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძადადობისგან, ბუდინგისგან, სოციალური ექსკლუზიის, სხვა ფოხმის დისკრიმინაციისა და დამამციხებელი მოპყხოებისგან.

ასევე, ბავშვთა უპიჩატესი ინტეგრირების გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული ყვედა საფეხუხზე, ხათა ხედი შეეწყოს ოხმხივ ცოდეხანტობას და პატივისცემას სკოლებში, განუხრევედად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული ზომები მოიცავს მოსწავდეებისთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტუხი ინფოხმაციის მიწოდებას და შეგანას სასწავლო კუხიკუდუმებას და მასალებში. მოსწავდეებს უნდა ჰქონდეთ საჭიხო ინფოხმაცია, დაცვა და მხახდაჭეხა, ხაც დაეხმახებათ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვხებაში.“¹⁸

გარდა აღნიშნულისა, ევროსაბჭოს მიხედვით, იმისათვის, რომ საგანმანათლებლო სივრცემ უპასუხოს ღებტქი ბავშვებისა და მოზარდების საჭიროებებსა და ინტერესებს, უპირველესად კი, დაიცვას ისინი ძალადობისგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების ამოქმედება და შესრულება¹⁹:

¹⁶ Education 2030: Incheon Declaration and Framework for Action for the implementation of Sustainable Development Goal 4, 2016, nb: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245656>

¹⁷ იქვე, პარ. 61

¹⁸ Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, პარ. 31-32, nb:

¹⁹ CoE, Safe at school: Education sector responses to violence based on sexual orientation, gender identity/expression or sex characteristics in Europe, გვ. 30, nb: <https://rm.coe.int/prems-125718-gbr-2575-safe-at-school-a4-web/16809024f5>

- ა) ეროვნულ და სკოლის დონეზე ისეთი პოლიტიკის არსებობა, რომელიც მოახდენს სოგი-ს ნიშნით ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრას;
- ბ) მრავალფეროვნების მხარდამჭერი კურიკულუმებისა და სასწავლო მასალების არსებობა;
- გ) საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა მხარდაჭერა და დატრენინგება;
- დ) სტუდენტთა/მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- ე) სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ვ) ძალადობის მონიტორინგი და ევალუაცია.

მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკა არ არის საკმარისი სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად საგანმანათლებლო სივრცეებში. პროცესი საჭიროებს განგრძობით და კომპლექსურ ზომებს სხვადასხვა უწყებასთან თანამშრომლობით, რათა ეფექტურად მოხდეს უთანასწორობის, დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენცია და მივიღოთ მდგრადი შედეგი.

5.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

თითოეული ადამიანის განათლების უფლების დასაცავად საქართველოს აღიარებული აქვს წინა თავში განხილული ყველა ვალდებულება. გარდა აღნიშნულისა, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობისა და ძალადობისგან დაცვის ვალდებულებები მოცემულია საქართველოს განათლების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში. აღსანიშნია, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში 2020 წელს შესული ცვლილებების შესაბამისად, განათლების ხელმისაწვდომობა ცალკე ქვეპუნქტად გამოიყო და მასზე თანასწორი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება.²⁰

საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური და არადისკრიმინაციული“. გარდა ამისა, კანონის მე-17 მუხლი მშობელთან და მასწავლებელთან ერთად, იცავს მოსწავლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ხოლო მე-20 მუხლი სპეციფიკურად ეხება სკოლაში ძალადობის დაუშვებლობას და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ნების დაცვის საკითხებს. ანტიდისკრიმინაციული ჩანაწერები ასევე არსებობს უმაღლესი განათლების შესახებ კანონშიც, რომელიც ერთი მხრივ, სახელმწიფოს და მეორე მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ავალდებულებს, უზრუნველყოს უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა და შექმნას სასწავლო გარემო, რომელიც თავისუფალი იქნება „აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით“ დისკრიმინაციისაგან.²¹

თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო გარანტიებისა, საქართველოში ხარისხიან, უსაფრთხო და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით კი მონყვლადი ჯგუფებისთვის. ლგბტქი ჯგუფისთვის განათლების უფლების ხელმისაწვდომობაზე გავლენას

²⁰ მუხლი 2, პუნქტი 10, ქვეპუნქტი გ-გ), იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>

²¹ მუხლი 2, პუნქტი 2, თ) და მუხლი 2, პუნქტი 3, კ), იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97>

ახდენს კულტურულ და სოციალურ ფაქტორთა ურთიერთთანაკვეთა. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ლგბტქი ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის შესახებ განხორციელებული კვლევის მიხედვით, „ხშირად, სასკოლო სივრცეში არსებული დისკრიმინაციული ან არამიმდებლური გარემო გავლენას ახდენს არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობასა და დასწრებაზე, არამედ სწავლის ხარისხზეც“.²² ამრიგად, საგანმანათლებლო სივრცეში უთანასწორო მოპყრობა ან ამგვარი მოპყრობის შიშით გამოწვეული სტრესი და შესაბამისი ემოციური ფონი გავლენას ახდენს ლგბტქი მოსწავლეთა სრულყოფილ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში.

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანაგრიშში, რომელიც ლგბტ+ ჯგუფის უფლებივ მდგომარეობას შეეხება, აღნიშნულია: სოგი-ს საფუძველზე ბულინგისა და პედაგოგთა მხრიდან მოსწავლეთა მიმართ დისკრიმინაციული ქცევის წახალისების პრაქტიკის შესახებ სიღრმისეული კვლევები საქართველოში არ ჩატარებულა, თუმცა მცირე მოკვლევები და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში აჩვენებს, რომ „ამგვარი პრაქტიკისგან საქართველოს საჯარო სკოლები თავისუფალი არ არის, მეტიც, ხშირად, სტერეოტიპების გაძლიერებისა და დისკრიმინაციული ქცევის წახალისება სწორედ პედაგოგთა მხრიდან შეიმჩნევა, რაც, ბუნებრივია, მიუთითებს საქართველოს განათლების მხრიდან პედაგოგთა ცნობიერების ამაღლებისა და მათთან მუდმივი მუშაობის საჭიროებაზე.“²³

სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თანასწორობის პრინციპის პატივისცემის დასამკვიდრებლად საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო კურიკულუმებში მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობის, ურთიერთპატივისცემისა და სამოქალაქო თვითშეგნების საკითხების შეტანას და სწავლებას. აღნიშნული ასევე გულისხმობს სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველყოფას ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო სივრცეების საშუალებით. საქართველომ ბოლო წლებში ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, სკოლებში სწავლება საგნები, „მედასაზოგადოება“ და „სამოქალაქო განათლება“ - ორივე მათგანი შეიცავს მნიშვნელოვან ჩანაწერებს გენდერული თანასწორობის, მრავალფეროვნების პატივისცემისა და სხვა საკითხების შესახებ; მაგრამ ქვეყანაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება ჯერ კიდევ არ მიიღება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცნობიერებაზე საკუთარი უფლებების, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების თუ ჯანმრთელობის შესახებ.²⁴ როგორც გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარალელმენტო საბჭოს 2022 წლის ანგარიშშია მითითებული, „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ მოზარდების ცოდნა კვლავ მწირია, მოსწავლეები და მოზარდები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას თავიანთ სხეულზე, ურთიერთობებზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სექსუალობაზე.“²⁵

²² ჯალალანია ლ. „ლგბტქი ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, 2020, სოციალური სამართლიანობის ცენტრი

²³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანაგრიშში, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2022, გვ. 37, იხ: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914343766642.pdf>

²⁴ გენდერული თანასწორობის საპარალელმენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში, ბარიერები და რეკომენდაციები, ნაწილი II, 2022, UNDP, UNFPA, NDI, გვ. 55, იხ: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/gender_geo_part_2.pdf

²⁵ იქვე, გვ. 54-55

5.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი

გამონვევები სკოლაში

განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომის ბარიერების იდენტიფიკაციის მიზნით, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფებსა და ინდივიდუალურ ინტერვიუებში მონაწილე ლგბტქი თემის წევრებს სთხოვეს ესაუბრათ ზოგადი განათლების პროცესში მიღებულ გამოცდილებაზე, რომელიც დაკავშირებულია სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფიზიკური და ფინანსური თვალსაზრისით სკოლა ხელმისაწვდომი იყო თითქმის ყველა რესპონდენტისთვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არ გულისხმობს მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეების ფიზიკურ არსებობას და ფინანსურ ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მოიცავს უსაფრთხო და მოსწავლეთა პატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს, რომლის არარსებობაც განათლებაზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

რესპონდენტთა გამოცდილებები უშუალოდ სკოლაში სწავლის პერიოდში ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც ერთი მხრივ, იმით არის გამოწვეული, რომ კვლევაში მონაწილე თემის წევრებს სხვადასხვა პერიოდში მოუწიათ სასკოლო განათლების მიღება. თუმცა, გარდა ასაკისა და სკოლაში სწავლის პერიოდისა, განსხვავებული გამოცდილებების წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი თავად თემის წევრების ინდივიდუალური დამოკიდებულებაა სექსუალობისა და იდენტობის გამოხატვასთან. ამიტომაც, დისკრიმინაციული მოპყრობისა და ბულინგის გამოცდილება ყველასთვის საერთო არ არის, თუმცა არც სკოლის უსაფრთხო სივრცედ აღქმაში ემთხვევა რესპონდენტთა მოსაზრებები.

ბოლო წლებში სასკოლო სივრცეებში მიმდებლობის დამკვიდრების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. აღნიშნულის მიზეზი კი დიდწილად ისაა, რომ მოსწავლეებს მეტი წვდომა აქვთ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე; ნაკლები წვლილი მიუძღვის ამ პროცესში საგანმანათლებლო სივრცეების ტანსფორმაციას და მათში მოაზრებული ყველა პირის ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასკოლო სივრცეებში უსაფრთხოების დასაცავად მანდატურის ინსტიტუტი შეიქმნა, ის ბოლომდე ვერ ახდენს სკოლებში არსებული აშკარა დისკრიმინაციული ქცევისა და უფრო ხშირად, დაფარული ჩაგვრის იდენტიფიცირებას.

„ხოცა გაიგეს [ოხიენგაციის შესახებ], მეხე დაიწყო ცოცა სხვანაიხი სახის, აგხესიუდი ბუღინგი. აი, ეხთხედ, მაგარიტად, თმა დამიწვეს და მითხხეს, ხომ შენნაიხად, ბიჭყადებში, მაიმუნებს გადაპახსუდი აქვთ თმები, ამიგომ ახ გჭიხდებაო. და ხოდესაც ეს მანდატუხებს ვუთხახი, იმ დხოს ახადი შემოსუდი იყო ეს მანდატუხების ხეჟიმი, ბუზისგან სპიდოს ნუ ქმნიო და გამომიშვეს. ამიგომ მეტი ხეაგიხება ახ ქონია ამას და მიწვედა ძიხითადად ჩემით გამკდავება მსგავს შემთხვევებზე. მქონდა აგხესიუდი ხეაქცია, მაგხამ ბოდოს უკვე დავიწყე ინდიფეხენგუდი ხეაქციების ქონა და ამის შემდეგ შედახებით შეწყდა მსგავსი ბუღინგები.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსედი ქადი, ბათუმი.

რესპონდენტების სხვა ნაწილი აღნიშნავს, რომ ბულინგს და დისკრიმინაციას გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო სკოლის პერიოდში ნაკლებად აწყდებოდნენ, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი იდენტობა ან ჯერ არც თვითონ ჰქონდათ გაცნობიერებული ან დამალვას და ამაზე საუბრისაგან თავის არიდებას ახერხებდნენ. რესპონდენტების ნაწილი ამბობს, რომ საკუთარი გენდერული

იდენტობა ან სექსუალური ორიენტაცია სკოლაში სწავლის ბოლო წლებში გააცნობიერა, თუმცა მაინც სიფრთხილით ეკიდებოდა „ქამინგ აუტს“, რომ თავი დაეცვა შევიწროებისა და ბულინგის სხვადასხვა ფორმისგან:

„პიხადად მეც ახ მქონია ზაიმე სახის ბულინგი ან ზაიმე სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ გაჩვეულები ვართ ვათვითცნობიერებდი ყველაფერს მაგ დროისთვის. თუმცა, ადრე, მაქსიმალურად ვცდილობდი იმას, რომ ეს ზღაპრები გადამეფახა და გამომდინახე აქედან, კახგად გამომდიოდა, კახგი მსახიობი ვიყავი, სავაჩაუდოდ და აქედან გამომდინახე ახ მქონია ზაიმე დაბეჭდვები ამ კუთხით სკოლის პეიოლში.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, თბილისი.

სხვა შემთხვევებში, როდესაც, მაგალითად, ლესბოსელმა ქალებმა საკუთარი იდენტობა გაამჟღავნეს, ამას საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა მეგობრებისა და სკოლელებისგან:

„პიხვედი, ვისაც ვუთხახი, იყო ჩემი წლების მეგობრები, დაქადები, ოხი, ხის შემდეგაც შეწყდა ჩვენი მეგობრობა, ახა ჩემი მხიდან, მათი ინციატივით და ფაქტობრივად, ზამდენიმე დღეში მთელ სკოლას მოედო ეს ამბავი და ფიზიკური შეუხაცხყოფა იყო, სიგყვიეხი შეუხაცხყოფა იყო ხშირი, სხუდიად უცნობი ადამიანებიდანაც მოდიოდა ეს. ზა ვიცი, კიბეზე ჩავდიოდი, ეხთი ბიჭი მაღლა აღიოდა და ახად შელებიღ თმებზე დამაფუხთხა და მსგავსი ზღაპრები ხდებოდა ხშირად.“ ფოკუს-ჯგუფი, ლესბოსელი ქადი, თბილისი.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო სასკოლო გარემოს მიერ დადგენილი წესები და მიდგომები, კრიტიკული აზრის მიუღებლობა და მკაცრი, ხშირად სტერეოტიპული წარმოდგენები. კვლევაში მონაწილე თემის წევრთა დიდმა ნაწილმა ასევე გაიხსენა სასკოლო სივრცეში ბულინგის ფაქტები, რომლებიც არა უშუალოდ გაცხადებულ სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას, არამედ გენდერული თუ ნორმატიული აღქმებისგან განსხვავებულ თვითგამოხატვას უკავშირდება. რესპონდენტების თქმით, ბულინგის მიზეზი იყო განსხვავებული გარეგნობა, ჩაცმულობა, გრძელი თმა თუ სხვადასხვა სუბ-კულტურასთან იდენტიფიკაცია.

„[...]ცხადად დისკრიმინაციური ჩემთვის ახ ყოფიდა გახემო, მაგამ იყო ზღაპრა ბულინგის შემთხვევები. ოღონდ ეს შეიძლება ახ ყოფილიყო ზღაპრა სექსუალური ორიენტაციის გამო, იმიტომ, რომ ასე ცხადად „ქამინგაუტი“ ახ მქონდა გაკეთებული და უფხო მეტად იყო იმის გამო, რომ მაგალითად, მქონდა პიხინგი ან ვიცმევი ცოგა განსხვავებულად, ან ზღაპრა ეგეთი მსგავსი.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი კაცი, თბილისი.

სასკოლო სივრცეებში ფემინური გენდერული გამოხატულებების მქონე გეი და ბისექსუალი კაცები მეტწილად მასკულინური ნორმებისგან განსხვავებული თვითგამოხატვის გამო იჩაგრებოდნენ, რაც მათ გარეგნობაში ან ხმის ტემბრში გამოიხატებოდა, ხოლო მასკულინური გამოხატულებების მქონე ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებს ჩაგრავდნენ მათი ჩაცმულობისა და ქალურობის გენდერული ნორმებიდან გადახვევის გამო.

რესპონდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს საქართველოში მიმდებლობისა და სოლიდარული გარემოს არარსებობას, რაც გამოიხატება იმ ადამიანების გარიყვაში, ვინც საზოგადოების მიერ დადგენილ სხვადასხვა ნორმატიულ სტანდარტებს არ შეესაბამება. ნეგატიური დამოკიდებულებები, ლგბტქი თემის წევრების გარდა, ეთნიკურ

თუ რელიგიურ უმცირესობებზეც მძიმედ აისახება, რასაც საკუთარი მაგალითებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტებიც ადასტურებენ.

„მეც ეთნიკუხად აზეხბაიჯანედი ვაჰ და ამ მხივ საკმაოდ დიდ წინაღობას შევხვდი საჯაჰო სკოლებში. სანამ საჯაჰო სკოლაში ვსწავლობდი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ხალაცა ასაკამდე მიცხვენოდა იმის, რომ ახ ვიყავი ქაჩთვედი და მეგონა, რომ ჩემი ეთნოსი იყო ხალაცა ჩემი განმსაზღვრედი და ხალაცა დალი იყო. ხა თქმა უნდა, ძალიან ბევრი დისკრიმინაციის შემთხვევა იყო.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი ქალი, ჰეგიონი.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო სივრცეებში ლგბტქი თუ სხვა ნიშნით გაერთიანებულ პირთა ჩაგვრაზე მასწავლებლებიც არიან პასუხისმგებელნი. მასწავლებლებში გავრცელებულია სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც განაპირობებს მათი მხრიდან მოსწავლეებისათვის დამახინჯებული ინფორმაციის გადაცემას და ამ გზით სტიგმის გაძლიერებას.

„ჩემი ბიოდოგის მასწავლებელიც თვლიდა, რომ ეს იყო ავადმყოფობა და ძალიან თავისუფლად ამბობდა ამას ხა, ახანაიხი, ესე ვთქვათ, შედამაზებუდი ფოხით, მაგჰამ მაშინ პაგაჰა ვიყავი მეც და ვეჩვახეხეხედი წინააღმდეგობის გაწევას, უფხო სწოხად, ვეჩიდებოდი იმიტომ, რომ ისედაც მეგყობოდა, რომ ვიყავი დგბტქი თემის წაჩომადგენელი, ამიტომ ყვედანიხად ვცდილობდი, რომ ხაც შეიძლება ნაკლებად შევხებოდი ამ თემას, თავდაცვითი ინსტინქტი მქონდა ესეთი.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსელი ქალი, ჰეგიონი.

სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, სკოლებში ხშირი იყო დისკრიმინაცია და ჩაგვრა. რესპონდენტების თქმით, ბულინგს ადგილი ჰქონდა კლასელებისა და სკოლელების მხრიდან, ხოლო უთანასწორო მოპყრობას – მასწავლებლებისა და კლასელების მშობლების მხრიდან. რესპონდენტთა ნაწილმა თქვა, რომ მათთვის სკოლაში სიარული მხოლოდ დისკომფორტთან ასოცირდებოდა, რადგან დანარჩენი მოსწავლეებისგან განსხვავებულები იყვნენ.

„სკოლიდან ძალიან დიდი, ასე რომ ვთქვათ, გჩავმები მაქვს, მასწავლებლების მხიდან, მოსწავდეების მხიდან, მშობლების მხიდან. ნუ, უმეტეს შემთხვევაში, თავს ვგჩძნობდი ისე, ხოგოხც აი, ხალაც ნივთი, რომელიც შეგიძლია, რომ ეხთი კუთხიდან მეოხეში ისხოდო.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, ჰეგიონი.

ტრანსგენდერმა კაცებმა აღნიშნეს, რომ მათი დისკრიმინაცია (მაგ: ტრანსგენდერ ქალებთან და გეი კაცებთან შედარებით) ნაკლებად ხდებოდა, რადგან საქართველოში არსებული გენდერული როლებიდან გამომდინარე, კაცის ფემინურობა და მის მიერ მასკულინურობის „დათმობა“ ბევრად უფრო მძიმედ და მიუღებლად აღიქმება, ვიდრე ქალის მიერ მასკულინურობის გამოხატვა. რესპონდენტების თქმით, ზოგადად, ტრანსგენდერ ქალებს უფრო მეტი პრობლემები აქვთ, რადგანაც საზოგადოებაში ტრანსგენდერი კაცისთვის შენიღბვა უფრო მარტივია. მათ შეუძლიათ საერთოდ არ გაამჟღავნონ საკუთარი იდენტობა, ხოლო ტრანსგენდერი ქალების შემთხვევაში იდენტობის დაფარვა მეტად რთულია, კაცის ბიოლოგიური/ფიზიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

რესპონდენტების მიმართ სასკოლო სივრცეში გამოხატულ ბულინგსა და შევიწროებაზე თავდაპირველი რეაქცია აგრესია და ადმინისტრაციასთან ჩივილი იყო, თუმცა, რადგან აღნიშნული გზები არაეფექტიანი აღმოჩნდა, თემის წევრები სიმშვიდეს, გულგრილობას, ინდიფერენტულობასა და იგნორირებას ამჯობინებდნენ.

„ჩემი ხეაქცია ამაზე [ბუდინგზე] ის იყო, რომ შემენახჩუნებინა ჩემი კომფორტის ზონა, ნაკლები კომუნიკაცია მეონოდა, შესაბამისად, მძაფრად ვეი გამოვხატავდი ჩემს აზრებს გაჩვეულ საკითხებზე და ანუ ჩემი მხიდან იზორაცია, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კახგი საშუალება, რომ ზედმეტი პიობდემები ამეციდებინა თავიდან.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი კაცი, თბილისი.

კვლევაში მონაწილე თემის წევრებმა გააჟღერეს სასკოლო სივრცეში მასწავლებლების მხრიდან მიმღებლურ და სწორ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული დადებითი გამოცდილებებიც, თუმცა ასეთი შემთხვევები იმდენად იშვიათია, რომ მხოლოდ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. ფოკუს-ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სასკოლო სივრცეები არ არის დაცლილი სტიგმის, დისკრიმინაციისა და სხვადასხვა ფორმის ძალადობისგან. ჩაგვრა, კლასელების თუ სკოლელების გარდა, მომდინარეობს პედაგოგებისა და ადმინისტრაციის მხრიდანაც, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. საგანმანათლებლო სივრცეებში თანასწორობასა და მიმღებლობაზე დაფუძნებული კულტურის დასამკვიდრებლად აუცილებელია კომპლექსური და განგრძობითი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან.

გარდა აღნიშნულისა, ასევე მნიშვნელოვანია თავად თემის წევრთა ინფორმირება და ბულინგის თუ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რადგან ხშირად მათ შეიძლება ხშირად ვერ მოახერხონ კონკრეტული დესტრუქციული ქცევისთვის სახელის დარქმევა და დახმარების თხოვნა. სწორედ ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო კურიკულუმებში აღნიშნული საკითხების ინკლუზია, რათა მრავალმხრივი მიდგომით შეიქმნას უსაფრთხო და თანასწორი სასკოლო გარემო.

გამონწვევები უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებში

ღებტქი თემის წარმომადგენლებისთვის უმაღლესი/პროფესიული სასწავლებლები სკოლასთან შედარებით კომფორტული გარემო აღმოჩნდა. რესპონდენტების თქმით, უნივერსიტეტში მათ დახვდნენ უფრო ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანები, რომლებთანაც ნორმალური ურთიერთობების დამყარება იყო შესაძლებელი.

„უნივერსიტეტში უფრო განსხვავებული სიგუაცია იყო. განსხვავებულად მოაზროვნე ხადხი და უფრო მეტად კომფორტული გახემო იყო. ახა მაჩგო სგუდენტები და ჯგუფედები და ასე შემდეგ, ახამედ თვითონ დექგოხები. უფრო ბევრად კომფორტული გახემო იყო.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, თბილისი.

მიუხედავად ამისა, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეებში ადამიანთა ნაწილი გამოხატავს ღებტქი თემის წარმომადგენლების მიმართ მიუღებლობას. ასეთ დროს ღებტქი ადამიანები ცდილობენ თავი შეიკავონ საკუთარი იდენტობის გამოხატვისგან ან თავი შორს დაიჭირონ მათგან, ვინც შეიძლება დისკრიმინაციის, შევიწროებისა თუ უთანასწორო მოპყრობის ადრესატად აქციოს ისინი.

ამის მიუხედავად, რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ უნივერსიტეტში ზოგი ლექტორის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულებაა თემის წარმომადგენლების მიმართ. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით რეგიონებში გამოიკვეთა.

„ვსწავლობდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ცარსახად მიგძვნიდა ჰომოფობიური დამოკიდებულება ჩემი ერთ-ერთი დექტორის მხრიდან, იმის გამო, რომ ხშირად ვაგაჩებდი საყუხეს, ახ მეცვა მისთვის მისაღებად, ანუ, როგორც მას წახმოდებინა, რომ უნდა მცმოდა. ყოველთვის ხალაც იაჩრეყებს მაკეხებდა ხოდმე და ძადიან აგხესიური დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს მიმართ.“ ფოკუს-ჯგუფი, გვი კაცი, ხევიონი.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ლექტორების მიმღებლობის ხარისხში დიდ როლს თამაშობს მათი ასაკი, რადგან ახალგაზრდებს უფრო ღია და მიმღებლური დამოკიდებულება აქვთ, ხოლო უფროს თაობას - უფრო სტერეოტიპული.

„მსმენია ძადიან ბევი, თითებზე ვეი ჩამოთვი იმდენი ფაქტის შესახებ, როცა დექტორს ან ქუდა ახ დაუწეხია, ან დაუკრია, ან აუდიტორიიდან გაუგდია... დეხს კოდის გამოც გაუგდიათ... მაგხამ ხახან ვდაპახაკობ დექტორებზე, ვეი ვიგყვი, რომ ყვედა. ყვედა ახა, ხალაც დაახდობით 70% იმ დექტორებისა, რომლებიც ასაკობივი ზღვიით უფრო მალდა ახიან. დექტორები, რომლებიც, ძიხითად, ბოდო დეხობში მოიწვიეს, ახადგაზხდაა და ხალაცა. იმათთან პხობდმა ახავის ახაფხისთვის ახ შექმნია.“ ფოკუს-ჯგუფი, გვი კაცი, თბილისი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევაც, როცა ლექტორმა რესპონდენტის სექსუალური ორიენტაციის შესახებ ოჯახის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია.

ისინი, ვინც უნივერსიტეტში თბილისს გარეთ სწავლობდა, ასევე აღნიშნავენ, რომ გრძნობდნენ ჰომოფობიურ დამოკიდებულებებს თანაკურსელების მხრიდან:

„ჩემ შემთხვევაში, მაგადითად, იყო ის, რომ თვითონ ერთ საუბებში ისე გავდით, იმ დონეზე მივედით, რომ თვითონ სტუდენტებისგან, ჩემი თანაკურსელების მხრიდან წამოვიდა, რომ ეს უპაცივცემუდობაა, ეს ახ უნდა ჩანდეს და ესე აშკაჲადა ახ უნდა გამოიგანოთ, იმიტომ, რომ ჩვენი გჲადიციები, ანუ დოგიკუჲად საითკენაც მიყავთ ხოდმე დიადოგი, ეს ქახთვედობაა აპიხოჲური და გჲადიციების უახყოფა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ანუ უნდა დათხგუნო, უნდა დამადო, მოგუდუდ იმაში უნდა გადიყვანო ხალაცა, მოცემუდობაში და პაცივცემუდობა-უპაცივცემუდობის საკითხში გადიოდა... საწყის ეგაპზე დექტორის და შემდეგ სტუდენტების, უმაჲვედობის მხრიდან. ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი ქადი, ხევიონი.

ამ ცალკეული შემთხვევების გარდა, რესპონდენტების უმეტესობა დადებითად აფასებს ლექტორებთან ურთიერთობას და უნივერსიტეტში სწავლის გამოცდილებას.

რაც შეეხება ფინანსურ შეზღუდვებს, თემის წარმომადგენლებს ჰქონიათ შემთხვევა, როცა ფინანსური პრობლემების გამო სწავლის შეჩერება მოუწიათ. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მსგავსი პრობლემა საქართველოში არა მხოლოდ თემის წარმომადგენლებს, არამედ ბევრს აქვს:

„ჩემი აზრით, ეგ ყვედგან ახის და აი, ჩემს შემთხვევაში ყოფიდა, რომ ფინანსური ხალაცის გამო დავანებე სწავდას თავი და ამის გამო მაქვს ახასჲური განათდება უმალდესის. ზოგადად საქახთვედოს პხობდმაა და ახა ჩვენი თემის...“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსედი ქადი, ხევიონი.

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები უშუალო კავშირშია საზოგადოებაში არსებულ კულტურულ და სოციალურ უთანასწორობასთან, ნეგატიური დამოკიდებულებასთან და ძალადობის მოლოდინთან, რაც ხშირად ხელს უშლი ლგბტქი სტუდენტებს, რომ სრულყოფილად მიიღონ განათლება და შექმნან მომავალი კეთილდღეობის რეალური შანსები.

6. შრომის უფლება

6.1. საერთაშორისო სტანდარტი

შრომისა და დასაქმების უფლება ერთ-ერთ ფუნდამენტური უფლებებია, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობისა და განვითარების საფუძველს ქმნის.²⁶ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) N111 კონვენცია დისკრიმინაციის შესახებ იცავს ყველა დასაქმებულს უთანასწორო მოპყრობისგან, ხოლო N190 კონვენცია ითვალისწინებს ძალადობისა და შევიწროების აღმფოხვრას სამუშაო ადგილას. შსო აღიარებს ყველას უფლებას, იყოს თავისუფალი დისკრიმინაციისა და ძალადობისგან შრომის სფეროში. კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, „თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონები, რეგულაციები და შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას სამუშაო ადგილას, როგორც მშრომელი ქალებისთვის, ისე მშრომელებისა და სხვა ინდივიდებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ან მეტ მოწყვლად ჯგუფს ან ჯგუფს მოწყვლად სიტუაციაში, რომლებშიც დისპროპორციულად განიცდიან ძალადობასა და შევიწროებას შრომით ბაზარზე.“²⁷

დასაქმების სფეროში არსებული არათანაბარი მოპყრობისა და ამით გამოწვეული მძიმე შედეგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შსო-მ 2021 წელს სპეციალური რეზოლუცია მიიღო შრომის სფეროში არსებული უთანასწორობის შესახებ²⁸. რეზოლუციის მიხედვით ურბანულ, არაურბანულ და პერიფერიულ ადგილებს შორის, ასევე, მდიდარ და ღარიბ ჯგუფებს შორის არსებული არათანაბარი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ და ღირსეულ შრომაზე, ფინანსებზე, საჯარო სერვისებზე, ხარისხიან განათლებაზე, რელევანტურ ტრენინგებზე და საჭირო სოციალური სერვისების ინფრასტრუქტურაზე, ხელს უწყობს უთანასწორობის გამყარებას და საზოგადოების სტრატეგიკაციას. დოკუმენტის მიხედვით, „სისტემური, მრავალი ნიშნით და ინტერსექციური დისკრიმინაცია კვლავ რჩება უთანასწორობის მუდმივ და გავრცელებულ საფუძველად, რომელიც ხშირად მანიფესტირდება კარიერული შესაძლებლობებისა და სოციალური მობილობის არარსებობაში შრომით ბაზარზე...“ ძალადობა და შევიწროება კი ქმნის და აძლიერებს ამ უთანასწორობას. დისკრიმინაცია აფერხებს არა მხოლოდ განათლებას, ტრენინგებსა და სიცოცხლის განმავლობაში სწავლაზე თანაბარ წვდომას, არამედ ზღუდავს ხელმისაწვდომობას ხარისხიან სამუშაო ადგილებზე, საცხოვრისზე, მობილობაზე, მინაზე/კაპიტალზე და სოციალურ დაცვაზე.“²⁹

ღირსეული შრომის უფლების დაცვის პრინციპის ეფექტიანი განხორციელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შსო-ს N131 კონვენციას, რომელიც მინიმალურ ანაზღაურებას შეეხება. კონვენციის მიხედვით, მინიმალური ანაზღაურება უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ღირებულების (cost of living) შესაბამისი და უნდა პასუხობდეს ქვეყნის მოსახლეობის საჭიროებებს.³⁰ თუმცა საქართველოში აღნიშნული საკითხი დარეგულირებული არ არის³¹, რაც არსებითად არღვევს, არა მხოლოდ ლგბტქი, არამედ ყველა მშრომელის უფლებებს ქვეყანაში.

²⁶ ILO, Inclusion of lesbian, gay, bisexual, transgender, intersex and queer (LGBTIQ+) persons in the world of work: A learning guide, 2022, nb: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms_846108.pdf

²⁷ შსო, რეკომენდაცია N. 190, მუხლი 6

²⁸ შსო, ICL.109/Resolution XVI, International Labour Conference – 109th Session, 2021, პარ. 10, nb: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---relconf/documents/meetingdocument/wcms_832096.pdf

²⁹ იქვე, პარ. 20

³⁰ შსო, კონვენცია N131, მუხლი 3, nb: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C131

³¹ მინიმალური ანაზღაურება საქართველოში, კვლავ 20 ლარია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის No351 ბრძანებულების მიხედვით.

საქართველოს მიერ რატიფიცირებული შსო-ს კონვენციების გარდა ქვეყანას აღებული აქვს რიგი ვალდებულებები შრომით ურთიერთობებში უთანასწორობის აღმოფხვრის კუთხით, მათ შორის, ევროკავშირის, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებისა და მათ წევრ სახელმწიფოთა შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.³² ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარი შესაძლებლობების საკითხებზე ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება. ასევე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში საქართველოს აქვს ვალდებულება, „უზრუნველყოს თანასწორი შესაძლებლობები და შეამციროს სამუშაოს შედეგების კუთხით უთანასწორობა, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ მხრივ სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ საქმიანობის ხელშეწყობით“.³³

ყურადსაღებია ევროსაბჭოს რეკომენდაციაც CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შრომით ბაზარზე ლგბტქი ადამიანთა უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და წევრ სახელმწიფოებს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს:

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ზომების შემუშავება და განხორციელება, ხაც უზრუნველყონ ეფექტური დაცვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისგან სამუშაო ადგილებზე კეიდო თუ საჯარო სექტორში. აღნიშნულმა ზომებმა უნდა მოიცავს შიომითი ურთიერთობის პირობები, დაწინაურება, გათავისუფლება, ანაზღაურება და სხვა სამუშაო თავისებულებები. უნდა მოხდეს შევიწროებისა და ვიქტიმიზაციის სხვა ფორმების პრევენცია, აღმოფხვრა და დასჯა.“

განსაკუთხებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსგენდერ ადამიანთა კონფედერაციების უფლებას დასაქმების კონტექსტში. კეიდოდ, ადამიანის გენდერული ისტორიის თუ ყოფილი სახელის შესახებ ნებისმიერი ახალგაზრდას ინფორმაცია დამსაქმებლისა და სხვა დასაქმებულებისთვის ახ უნდა გაცხადდეს.“³⁴

მართალია, ევროსაბჭოს ზემოაღნიშნული დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ ის ადგენს მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სოგი-ს საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის დაცვა შრომით ურთიერთობებში, იქნება ეს კანონმდებლობის შემუშავების თუ პოლიტიკის გზით სტრატეგიული ინტერვენციის შეთავაზებით.

6.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

საქართველოში შრომითი ურთიერთობების ძირითადი მარეგულირებელი ჩარჩო შრომის კოდექსი და საჯარო სამსახურის შესახებ კანონია. 2020 წელს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ნაწილი იყო,

³² ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, XXX დანართი, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

³³ მიზანი 10.3, იხ: <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/11803Official-List-of-Proposed-SDG-Indicators.pdf>

³⁴ პარ. 29-30

მნიშვნელოვნად გადასაქმებულთა უფლებები სამუშაო ადგილზე. ცვლილებები შეეხო დისკრიმინაციის ცნების გადაზრებას დამისადაგებას საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონმა ასევე დააზუსტა დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები და მიუთითა, რომ ის ვრცელდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე, აგრეთვე: კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე; პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე საქმიანობის სფეროს მიუხედავად; პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის მიუხედავად; კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე; შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე; დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა გაერთიანების ან განსაზღვრულ პროფესიული ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე ამ ორგანიზაციიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით და ასევე, სამსახურებრივი სოციალური დაცვის პირობებზე, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე.³⁵

გარდა აღნიშნულისა, შრომის კოდექსმა გაითვალისწინა დამსაქმებლის ვალდებულება, მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად: ასახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.³⁶ აღნიშნული ჩანაწერი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან სწორედ უსაფრთხო და დაცული სამუშაო სივრცის შექმნის პოზიტიური ვალდებულების არარსებობა, სხვა მიზეზებთან ერთად, ქმნიდა მტრულ სამუშაო გარემოს, რაც ხშირად ლგბტქი პირებს აიძულებდა დაეტოვებინათ სამსახური და შემოსავლის გარეშე დარჩენილიყვნენ.³⁷ ჯერ კიდევ COVID-19-ით გამოწვეულ პანდემიამდე განხორციელებული კვლევები აჩვენებდა ლგბტქი პირთა დასაქმებაზე ხელმისაწვდომობისა და სამუშაო ადგილის შენარჩუნების პრობლემატურობას. რესპონდენტების დიდი ნაწილი (32.7%) ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროში მუშაობს, ხოლო თითქმის მეხუთედი (19.2%) – განთავსების/კვების მომსახურების სფეროში³⁸. ორივე ზემოთ აღნიშნული პრეკარიული შრომაა და გამოირჩევა დასაქმებულთა დაცვის დაბალი ხარისხითა და დაბალი ანაზღაურებით. 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მასში მონაწილე ლგბტქი პირთა საშუალო ანაზღაურება 60.5%-ის შემთხვევაში 1000 ლარის ფარგლებს არ სცდებოდა, 36.1%-ის 601-1000 ლარის ფარგლებში მერყეობდა, თითქმის მეოთხედი (24.4%) კი მიუთითებდა, რომ ყოველთვიურად, საშუალოდ 251-600 ლარს იღებდა ანაზღაურების სახით.³⁹

როგორც სახალხო დამცველის ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში მიუთითებს, COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ყველაზე დიდი ზიანი სწორედ დასაქმების ზემოხსენებულ სფეროებს და შესაბამისად, ლგბტქი თემის ეკონომიკურ მდგომარეობას მიაყენა. „ეკონომიკის სფეროში შექმნილი კრიზისის გავლენა სოციალურად მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებზე განსაკუთრებულად მძიმედ აისახა. რადგანაც თემის წევრთა დიდი ნაწილი სწორედ მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული, ამიტომ ამ სივრცეებში მუშაობის შეჩერებამ ავტომატურად გამოიწვია თემის წევრთა მიერ სამუშაოს დაკარგვა და შემოსავლების რადიკალური კლება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ არაფორმალურ სექტორში ჩართული და თვითდასაქმებული ადამიანებიც. როგორც საზოგადოების დანარჩენი ნაწილი,

³⁵ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 5

³⁶ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 11, პუნქტი 9

³⁷ WISG, CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგი, 2018, იხ: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG-CMREC-2013-18-GE.pdf>

³⁸ ჯალალანია ლ. (2020), ლგბტქ ადამიანთა სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი

³⁹ იქვე, გვ. 138

ეს ჯგუფიც სამუშაო ადგილზე სოციალური დაცვის მექანიზმების არარსებობის გამო შემოსავლების გარეშე დარჩა და ვერც ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის მოხვდა.⁴⁰

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კარანტინის პერიოდში ლგბტქი რესპონდენტთა 12.8% საერთოდ შემოსავლების გარეშე დარჩა - „კვლევის მონაწილეთა ყოველთვიური შემოსავლების მედიანური მაჩვენებელი (900 ლარი) კარანტინის დროს სამჯერ შემცირდა (300 ლარი). ამჟამად კი რესპონდენტთა საშუალო ყოველთვიური შემოსავლის მედიანა პანდემიამდე არსებულ მაჩვენებელზე 45%-ით ნაკლებია და 500 ლარს შეადგენს.“⁴¹

ზემოხსენებული კვლევის მიხედვით, პანდემიამ გავლენა იქონია შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციაზეც. პანდემიამდე შემოსავლის წყაროების 58% მოდიოდა დაქირავებულ შრომაზე, თვითდასაქმებასა და ქონების გაქირავება/ანაბრებზე (კომერციული სექს-სამუშაოს ჩათვლით), 33%-ს შეადგენდა დახმარება ოჯახის წევრებისგან, პარტნიორების ან მეგობრებისგან, ხოლო დარჩენილი 9% გადანაწილებული იყო სახელმწიფო დახმარებაზე, პენსიებსა და სხვა წყაროებზე. კარანტინის დროს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 31.7%-მა დაასახელა დაქირავებით შრომა და თვითდასაქმება როგორც შემოსავლის წყარო, ხოლო ოჯახის წევრების, ინტიმური პარტნიორის ან მეგობრების მიერ გაწეული ფინანსური დახმარების წილი მთლიან შემოსავლებში 33%-იდან 56.3%-მდე გაიზარდა. სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებით დაზარალებული მოქალაქეების დახმარების ხარჯზე 1%-დან 6.2%-მდე გაიზარდა სახელმწიფო დახმარებების წილიც. კარანტინის შემდგომ პერიოდში რესპონდენტთა ნაწილმა შეძლო მუშაობის გაგრძელება, თუმცა მათ უმეტესობას ისევ სჭირდება მატერიალური დახმარება.⁴²

ცალკე აღსანიშნავია ტრანს ადამიანთა დაბრკოლებები ღირსეულ შრომაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც გამომწვეულია საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარების არარსებობით და სამუშაო ადგილზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებით. სწორედ ამ მიზეზით ხშირად ტრანს ადამიანები თავს იკავებენ ფორმალური შრომისაგან, რათა არ გამჟღავნდეს ინფორმაცია მათი იდენტობის შესახებ. ამასთან, არსებობს ნეგატიური რეაქციების მოლოდინიც, რაც ზღუდავს თემის წევრების შესაძლებლობას, სხვა მოქალაქეებთან ერთად თანასწორად რეალიზდნენ შრომით ბაზარზე. აღნიშნული და სხვა დამატებითი ბარიერებიდან გამომდინარე, ტრანს ქალების დიდი ნაწილი არაფორმალურ, კერძოდ კი სექს-სამუშაოშია ჩართული. კვლევები აჩვენებს, რომ ტრანს ადამიანთა სექს-სამუშაოში ჩართულობის მთავარ მიზეზი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, რასაც მოჰყვება ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებული სტრესი და სიცოცხლისა და/ან ჯანმრთელობისთვის არსებული საფრთხე.⁴³ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სექს-სამუშაოში ჩართულობა ერთ-ერთ ყველაზე საფრთხისშემცველ სამუშაოდ შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან, პანდემიის პირობებში არსებული ეკონომიკური კრიზისისა და დაწესებული შეზღუდვების შედეგად ყველაზე მეტად სწორედ ტრანს ქალები დაზარალდნენ.⁴⁴

⁴⁰ გვ. 45

⁴¹ აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამომწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2022, იხ: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community.pdf?fbclid=IwAR2l8cUdXMXUvM_uQFVi4htEfllykpvRZX-OmzwRuZ64mICIQTWcpfXcQ-c

⁴² იქვე

⁴³ ჯალაღანია ლ. (2020), ლგბტქ ადამიანთა სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 151

⁴⁴ აღდგომელაშვილი და სხვები, ახალი კორონავირუსის შედეგად გამომწვეული ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენის შეფასება ლგბტქი თემზე, WISG, 2022, გვ. 13

ღებტქი ადამიანებისთვის ღირსეული სამუშაო გარემო გულისხმობს არა მხოლოდ ადეკვატურ ანაზღაურებას, არამედ უსაფრთხო და სტიგმისგან თავისუფალ გარემოსაც. 2020 წელს განხორციელებული კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს დაუსვეს შემდეგი კითხვა: „იმუშავებდით, თუ არა დაბალ ანაზღაურებაზე თუ სამუშაო ადგილი თქვენი იდენტობის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მოგცემდათ?“ რაზეც გამოკითხულთა 54.4% დადებითი პასუხი გასცა.⁴⁵ ეს მიუთითებს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისთვის არსებითად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადეკვატური ანაზღაურება, არამედ ჰომოფობიისგან თავისუფალი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, სადაც არ მოუწევთ მუდმივი თვითკონტროლი და დამატებითი ძალისხმევის გაღება იდენტობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაცხადების თავიდან ასარიდებლად და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად.

6.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი

გამონვევები შრომით ბაზარზე

თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ღებტქი თემის წევრებისათვის დასაქმებაზე და ზოგადად, შრომის უფლებებზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ერთი მხრივ, დისკრიმინაციული დამოკიდებულება ვლინდება როგორც წინასახელშეკრულებო ეტაპზე (მოიცავს გასაუბრებას), ისე დასაქმების შემდგომ შრომით ურთიერთობებში და გათავისუფლებისას. შესაბამისად, ღებტქი ჯგუფის წევრებისათვის ბარიერები თავს იჩენს არა მხოლოდ უშუალოდ საქმიან ურთიერთობებში, არამედ შრომით ბაზარზე შეღწევის პროცესშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღებტქი თემის წევრებისათვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია ის სივრცეები, რომლებიც დასაქმების პროცესში ნაკლები კრიტერიუმით შემოიფარგლება და სადაც არანორმატიული სექსუალობისა თუ იდენტობის მქონე პირების მიმართ მიმღებლობის შედარებით მაღალი ხარისხია. ამგვარად, ჯგუფის დიდი ნაწილი დასაქმებულია გასართობ, სახელოვნებო და მომსახურების სფეროებში, კერძოდ: კლუბებში, ბარებში სალონებსა და სასტუმროებში, მიმტანის, ადმინისტრატორის, კონსულტანტის და სხვა მსგავს პოზიციებზე. გარკვეული ნაწილი დასაქმებულია არასამთავრობო სექტორშიც. რესპონდენტების აზრით, საქართველოში ღირსეულ სამუშაო გარემოზე წვდომა შეზღუდულია, ამიტომ ღებტქი თემის წევრები ხშირად თანხმდებიან სამუშაოს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მათ ღირსეული ანაზღაურებითა და სოციალური დაცვის სქემებით. ისინი, ძირითადად, პრეკარიულ შრომაში არიან ჩაბმულები, რის შედეგადაც ვერ მიიღწევა კეთილდღეობა და ცხოვრების ადეკვატური ხარისხი.

„[...]ახ აჩის ხედმისაწვდომი [ადეკვატური სამუშაო]. ძიხითადაც საქმეები, ვიხუდ, დაბადშემოსავლიან სამსახურში ხა, ჰოგოხიცაჩის, მაგადითაღ, მიმტანი ან სტიდისტი ან ხაღაც ეგეთი ხა, სადაც აი, სიმახთღე, ჰომ გითხხათ, ისა, ხა ქვია, კონსულტანტები ამ «სპაში» და იმეებში ძადიან ბევხია თემის წევხი, იმიტომ, ჰომ უბხადოღ სხვა საშუადება, ჰომ ახ აქვთ, აი, ამ დაბადხედფასიან, ვიხუდ შიომას თანხმდებიან...“ ინდივიდუალური ინტერვიუ, გიანსგენდეხი მამაკაცი, თბილისი.

⁴⁵ ჯალაღანია ლ. (2020), ღებტქ ადამიანთა სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გვ. 147

რესპონდენტები დასძენენ, რომ შესაძლოა სამუშაო სივრცეები აშკარად და პირდაპირ არ იყოს დისკრიმინაციული ლგბტქი თემის წევრების მიმართ, მტრული გარემო კი არ გვევლინებოდა და მსაქმეების პოლიტიკის ნაწილად, თუმცა ეს არ არის საკმარისი ინდივიდუალურ დონეზე არსებული ჰომოფობიური მიდგომების აღმოსაფხვრელად, რაც არაჯანსაღ დამოკიდებულებასა და მტრულ სამუშაო გარემოში ვლინდება.

კვლევის შედეგების მიხედვით, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და დისკრიმინაციის პრაქტიკა გამოიხატება ღია და ფარული ფორმებით. მათ შორის არის აშკარა დისკრიმინაციული ქცევა, თუმცა, ჰომოფობიური მოპყრობა შეიძლება გამოვლინდეს ლგბტქი თემის წევრის გარიყვით, იზოლირებით ან მის მიმართ არამეგობრულ დამოკიდებულებით, რაც არანაკლებ გავლენას ახდენს არსებულ გარემოზე.

„თავიდან დავაბხარე, რომ ახალი ვაჟი და ხალაცა. ოთხი თვე ვიყავი ეგზეტ წოდებული ახალი. ანუ ხას ვგუდისხმობ, მაიგნოხებდნენ პიხდაპიხ, საეხთოდ, ვიყავი თუ ახ ვიყავი იქ, ახ მედაპაჩაკებოდნენ საეხთოდ იმიტომ, რომ ჩემს ნათქვამს ახ ჰეაგიხებდნენ ხა. ხოდა, ამის გამო მივეჩვიე, სურ ჩუმად ვიყავი და ეხდაც ჩუმად ვაჟ ხორმე, იმიტომ, რომ მიჩვეული ვაჟ. ხოდა, მეხე იმდენად ცუდად იმოქმედა ამან, რომ გვეხდიგვეხე მუშაობ, ხალაცა და ესეთი დამოკიდებულება... იგნოხი უფხო ცუდი ყოფიდა, რომ ერხუბათ და ხალაცა ეთქვათ, თუხმე ჯობდა, პასუხს მაინც გავცემდი და ისეთი სიგუაცია იყო, რომ მე მეჩჩინვა, სადმე მაჩგო ვმდგაჩიყავი და მაჩგო მემუშავა და მათ გვეხდით ახ ვყოფიდიყავი, ვიდე მათთან ეხთად ხოცა ვიყავი ხა. თან ხაჟ და თან ახა ხაჟ.“ ინდივიდუალური ინტერვიუ, გიანსგენდეხი კაცი, ჰევიონი/თბილისი

რესპონდენტების თქმით არსებობს რიგი შემთხვევები, როდესაც არანორმატიული ჩაცმის სტილი, თმის ფერი ან სხვა მახასიათებლები დამსაქმებლების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი ხდება. მსგავს ფაქტებს უფრო ხშირად რეგიონებში ვხვდებით. რესპონდენტების აზრით, თანამშრომლებს ვიზუალური ნიშნების მიხედვით არჩევენ:

„დასაქმების პირობემა, ჰეადუხად, შეიძლება ახ იყოს, მაგამ უშუალოდ გამოხატვას... ანუ ისევ განსხვავებულობასთან გვაქვს საქმე, ხოცა გამოხატავ თავს და ხაჟ განსხვავებული, თუნდაც თმის ფეხის გამო ან ჰამე მსგავსის გამო. მახსენდება ესეთი მაგადითი, რომ ბათუმში ვმუშაობდი და ჰევიონებში, ჰოგოხც მოგეხსენებათ, ცოცა უფხო ჰთუდად ახის საქმე და ჩემი მენეჯეხისგან ყოფიდა ახაეხთხედ ბუდინგი განსხვავებული თმის ფეხის გამო, იცოდა ჩემი ოხიენგაციის შესახებ... ჰეადუხად, მუშაობის დაწყების პირობემა მეც ახასდხოს ახ მქონია ახსად, მაგამ ჰოდესაც თავს გამოხატავ, ხმამაღლა საუბოხობენ შენზე ასევე ხა.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, თბილისი

რესპონდენტების აზრით, შესაძლებელია უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნება, თუმცა ეს ძირითადად, ლგბტქი პირების მიერ საკუთარი იდენტობის დამალვის ხარჯზე ხდება. საქმე ისაა, რომ ტრანს ადამიანებისთვის ესეც პრობლემაა, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში, რომლებიც ყოველთვის ვერ მალავენ საკუთარ გენდერული იდენტობას. შედეგად, მათ დასაქმების გაცილებით ნაკლები შანსი აქვთ, რის გამოც ხშირად უწევთ ისეთი სამუშაო ადგილების შერჩევა, სადაც საკუთარი იდენტობის დამალვა ან პირადი დოკუმენტების წარდგენა არ მოუწევთ.

„აი ახის ხედმისაწვდომი ყვედასთვის, ანუ ძალიან ხთურია, როცა გიყუხებენ, რომ გხანსი ხაი, ანუ ხალაცა ეხთი-ოხი საფეხუხით დაბდა ვახდები იმათ თვარში და აი გასაქმებენ ახანაიხად. ანუ სახედმწიფო, ხაც აი უნდა გვეხდში დაგიდგეს, უბხაროდ თვითონ დამსაქმებელი ოხგანიზაცია აი გაძღვეს იმის შესაძლებლობას, რომ, ასე ვთქვათ, შენ შენი, ასე ვთქვათ, ოხიენგაციით იმუშაო იმ კონკრეტულ სამსახურში.“ ფოკუს-ჯგუფი, გხანსგენდეხი ქადი, თბირისი.

ტრანსგენდერი კაცების შემთხვევაშიც ყოფილა შემთხვევები, როდესაც რესპონდენტები იდენტობის გამო გაუთავისუფლებიათ ან თავად დაუტოვებიათ სამუშაო ადგილი:

„ოხი შემთხვევა მქონდა სამსახურში, როდესაც პირობებები შემექმნა: ეხთი წამოვედი, ეგ იყო, ეგ იყო ადბათ 2005 წედს იყო, ჩემი ნებით წამოვედი და მეოხე იყო, 2016-17 წედი იყო, სადაც მეოხეგან ვაი დასაქმებუდი, თვითდასაქმებუდი. იქ შემექმნა პირობებები, იქაც მოვავგაიხე ნუ შავების ჩაიხევით, ესე ვთქვათ, მაგხამ პირობებები ფაქტია, რომ შეიქმნა... [სამსახურში] გაიგეს, რომ [თემის] მხაიდამჭეხი ვიყავი და ესე თქვეს, რომ „პიდახასტების“ დამცველიაო და ესე იგი, თვითონაც „პიდახასტიაო“. გეი ვეგონე თავდაპიხვედად, იმდენად ვეი წაიხოვედინათ, ვინ შეიძებოდა ვყოფიდიყავი. ჰოდა, მანდ დანიყო პირობებები... თავიდან [პიხვედ სამსახურში] დესბოსედი ვეგონე და მაგიგომ გამომიშვეს სამსახურიდან, ხეადუხად მაგიგომ გამომიშვეს ხა, მეიხე ვეგონე, ხადგან იმათ ვიცავედი, „პიდახასტი“ ვეგონე, მაგხამ დღეს იციან, რომ გხანსგენდეხი კაცი ვაი ჩვეულებიხივად.“ (ინდივიდუადუხი ინტეიხვიუ, გხანსგენდეხი კაცი, თბირისი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე გაიხსენა შემთხვევა, როდესაც საკუთარი იდენტობის მესამე პირის მხრიდან გამჟღავნების შემდეგ არა მხოლოდ სამსახურის, არამედ რეგიონის დატოვებაც მოუწია:

„...ხაც შეეხება ჩემი ხეგიონიდან წამოსვდას, ეს უკავშირდება ჩემს ძალით დაქამინგაუთებას, ხის გამოც მომიწია ჩემი ხაიონის დატოვება. ჩემმა ყოფილმა უფოხსმა, ხომედიც მყავდა ინსტაგხამზე, შემთხვევით დამავიწყდა სთოხიზე დაჰაიდება (იცინის) და ნახა ჩემი და ჩემი შეყვაიხებუდის ფოგო, ხის შემდეგადაც მომივიდა პიხად შეგყობინებაში ასეთი მესიჯი, რომ ამას ყვედას ვაჩვენებ და ხაი თავის მომჭედი ყვედასთვის აბსოლუტუხად, შენი სანათესაოსთვის, იმიგომ, რომ ახდობდად მეკუთვნოდა ეს გოგონა. შენი სანათესაოსთვის, ანუ ჩვენთვის, მაიხთრმადიებედი ქიისტიანი ადამიანისთვის, საეიხთოდ. ანუ, პიხადი შეუხაცხყოფაც წამოვიდა, რომ დედაშენს ვუიჩვედიო, რომ შენს გაჩენას საეიხთოდ აი გაეჩინეო და ასე შემდეგ და საკმაოდ მძიმე ტექსტი მომწეხა ამ ყვედაფეხის ნახვის შემდეგ. ხა თქმა უნდა, ეს ფოგო დასქინა და აბსოლუტუხად ჩემს ყვედა ნაცნობს, მეგობახს, ახდობედს, ყვედას აჩვენა და აქედან გამომდინაიხე მომიწია დატოვება ხაიონის.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუადი ქადი, ხეგიონი.

რაც შეეხება ღირსეულ ანაზღაურებაზე წვდომას, თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველოში, ზოგადად, არ არის შრომის ადეკვატური და ცხოვრების ღირებულების შესაბამისი ანაზღაურება, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ ლგბტქი ჯგუფზე, არამედ მთლიანად მოსახლეობაზე.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს სექს-შრომაზე. მათი თქმით, საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული გამოწვევების გამო ტრანსგენდერი ქალები ხშირად არიან ჩართული სექს-შრომაში, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ არასტაბილურ შემოსავალთან, არამედ ჯანმრთელობის და სიცოცხლის რეალურ რისკებთან.

„მანდ საშინელებები ხდება, დისკრიმინაციის პიკია მანდ და ბევრი შემთხვევები ვიცი. ეხდა ახ ვიცი, ჰა მდგომარეობაა, მაგამ ღამე ახ გავიღოდა, ხომ ჰალაცა ახ მომხდაჩიყო და ვილაცა ახ ეცემათ. ან ეხთი და იგივე ადამიანი ათჯეხ აჩის ნაცემი. კლიენტი ეგხეთ წოდებული ან ჰავი... ჰოდა, მეხე პოდიციისგან დაცინვები, ახასათანადო ყუხადლება, ოქმის შედგენისას ახ მოსმენა წესიეხად და ჰალაცეები ესეთები.“ ინდივიდუალური ინტერვიუ, გხანსგენდერი კაცი, ჰეგიონი/თბილისი.

რესპონდენტთა ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ არანორმატიული გამოხატვის გამო დასაქმების პრობლემა ადრე უფრო ხშირი იყო, ვიდრე ახლა. ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ უფროს თაობასთან შედარებით, უფრო ღია და მიმღებლური ახალი თაობა მოდის და იმედს იტოვებს, რომ მომავალში თემის წარმომადგენლებისთვის უფრო თავისუფალი გარემო იქნება.

„უნდა აღვნიშნოთ, ხომ დხო შეიცვალა და დამოკიდებულებები. აი, სიგყვაზე ხუთი ან ათი წლის წინ, ხომ მივსულიყავი იგივე მაჩკეტში საყუხით, ვფიქრობ, ხომ ახ მიმიღებდნენ, ჰატომლაც... ჯეხ კიდე იცვლება, მაგამ უბხადოდ დადიან ნედი პხოცესი აჩის და დიდი დხო სჭიხდება, ხომ აი ჰადიკადუხად შეიცვალოს დამოკიდებულებები.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, თბილისი.

7. ჯანმრთელობის უფლება

7.1. საერთაშორისო სტანდარტი

ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე ხელმისაწვდომობა ადამიანთა კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების საფუძველია. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ურთიერთგადაამკვეთ ფაქტორებს მოიცავს. ეს ფაქტორებია: ჯანდაცვის სერვისების არსებობა, ფინანსური ხელმისაწვდომობა, მისაღებობა და ხარისხი.⁴⁶ და მხოლოდ აღნიშნული ასპექტების სრულად რეალიზებით მიიღწევა ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი აღიარებს ყველას უფლებას ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე.⁴⁷ ამასთან, პაქტის მე-14 კომენტარი აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის უფლება არ გულისხმობს უბრალოდ ჯანმრთელად ყოფნის უფლებას, არამედ ის მოიცავს თავისუფლებას და ვალდებულებებს. აქ თავისუფლებაში ერთიანდება ადამიანის უფლება, ჰქონდეს ავტონომია საკუთარ სხეულსა და ჯანმრთელობაზე, სექსუალურ და რეპროდუქციულ თავისუფლებაზე, ასევე გულისხმობს ადამიანის უფლებას, იყოს თავისუფალი ჩარევისგან, მათ შორის, წამების, იძულებით მკურნალობისა და ექსპერიმენტებისგან. ვალდებულებები კი მოიცავს სახელმწიფოს მიერ მისაღებ რიგ ზომებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანთა თანაბარი ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს სტანდარტებზე.⁴⁸ ამავე დოკუმენტის მიხედვით, გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი კრძალავს დისკრიმინაციას ჯანდაცვის სერვისის მიღებისას, მათ შორის ჯანმრთელობის სტატუსის (აივ/შიდსი), სექსუალური ორიენტაციის, სოციალური მონყვლადობის თუ სხვა ნიშნით.⁴⁹ კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოში სერვისების არარსებობის შემთხვევაშიც კი აუცილებელია, რომ მოსახლეობის მონყვლადი ჯგუფები დაცულები იყვნენ და ისარგებლონ ფინანსური შეღავათებით ჯანდაცვის პროგრამებზე.⁵⁰

ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე წვდომის უფლების გაეროს სპეციალური მომხსენებელი 2019 წლის ანგარიშში ხაზს უსვამს დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობას, როგორც ფიზიკური, ისე მენტალური ჯანმრთელობის დაცვისთვის.⁵¹ მომხსენებლის თქმით, მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელება დამოკიდებულია დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე ყველა სხვა უფლებასთან მიმართებით. ამავდროულად, ეს არის კეთილდღეობის კრიტიკული დეტერმინანტიც, რადგანაც ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია მენტალური ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზი და შედეგია.⁵² საზიანო სტერეოტიპები, სტიგმატიზაცია ოჯახში, სკოლასა და სამუშაო ადგილზე აზიანებს ჯანსაღ ურთიერთობებს და ხელს უშლის მხარდაჭერი და ინკლუზიური სივრცეების არსებობას, რაც მენტალური ჯანმრთელობის ფუნდამენტია.⁵³

უფრო მეტიც, მომხსენებელი აღნიშნავს, სოციალურ სტრუქტურებში ძალაუფლებრივი იერარქიიდან აღმოცენებული სტრუქტურული ძალადობა, მაგალითად, რასიზმი, სექსიზმი, ჰეტეროსექსიზმი და ეიბლიზმი, ქმნის კრიტიკულ დაბრკოლებებს მონყვლად

⁴⁶ ICESCR, General comment N14, პარ. 12, იხ: <https://www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf>

⁴⁷ ICESCR, მუხლი 12

⁴⁸ ICESCR, General comment N14, პარ. 8

⁴⁹ იქვე, პარ. 18

⁵⁰ იქვე

⁵¹ A/HRC/41/34, Report of the Special Rapporteur on the rights to the enjoyment to the highest attainable standard of physical and mental health, 2019, პარ. 36, იხ: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G19/105/97/PDF/G1910597.pdf?OpenElement>

⁵² იქვე

⁵³ იქვე, პარ. 37

მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის და ხელს უშლის მათ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ძალადობა და დისკრიმინაცია გადაჯაჭვულია – ძალადობა და ნორმალიზებული დისკრიმინაცია ადამიანების მენტალური ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიდგომა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების აღმოფხვრის მიმართ საჭიროებს არა მხოლოდ ბიოსამედიცინო მოდელის გამოყენებას, არამედ ყურადღების მიპყრობას პრობლემების გამომწვევი ისეთი სოციალური დეტერმინანტებისადმი, როგორცაა: სიღარიბე, ძალადობისა და ტრავმის გამოცდილება თუ დისკრიმინაცია.⁵⁴

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, ჯანდაცვის მუშაკების მხრიდან ლგბტქი ადამიანთა მიმართ დისკრიმინაცია მსოფლიოში გავრცელებული ფენომენია და გამოიხატება როგორც სამედიცინო მომსახურების განწევრება უარის თქმით, ისე მომსახურების განწევრებას დისკრიმინაციასა და ლგბტქი ადამიანთა კონფიდენცურობის დარღვევაში. აღნიშნულმა პრაქტიკამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯანდაცვის სერვისებზე ლგბტქი ადამიანთა წვდომის და მიმართვიანობის არსებითი კლება, ისევე, როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებისგან თავის შეკავება, რაც მთლიანობაში ნეგატიურად აისახება ლგბტქი ჯგუფის კეთილდღეობასა და ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობაზე.⁵⁵

ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის სხვა ასპექტებთან ერთად, კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სექსუალური ჯანმრთელობაც. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მიხედვით, სექსუალური ჯანმრთელობა ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური შემადგენელია; თუმცა, სექსუალური ჯანმრთელობა დიდწილად დამოკიდებულია სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე, კონკრეტულ სექსუალურ აქტივობების თანმდევი რისკების ცოდნაზე, კარგი ხარისხის სექსუალური ჯანმრთელობის სერვისის ხელმისაწვდომობასა და ისეთი გარემოს არსებობაზე, რომელიც ხელს უწყობს და აღიარებს სექსუალური ჯანმრთელობის მნიშვნელობას ადამიანების ცხოვრებაში.⁵⁶

1994 წელს ქაიროში ორგანიზებულმა საერთაშორისო კონფერენციამ განვითარებისა და მოსახლეობის შესახებ (ICPD) შეიმუშავა მოქმედების პროგრამა, რომელიც სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას შეეხება და სხვა საკითხებთან ერთად, სექსუალური უფლებებისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დოკუმენტი სექსუალურ ჯანმრთელობას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ქვეშ მოიაზრებს და მიუთითებს, რომ მასზე ზრუნვის მიზანია „ცხოვრების ხარისხისა და პერსონალური ურთიერთობების გაუმჯობესება, რისთვისაც არ არის საკმარისი მხოლოდ კონსულტაციის განწევრება და სამედიცინო ზრუნვა რეპროდუქციასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე.“⁵⁷ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მართალია, ICPD ახსენებს სექსუალურ უფლებებსა და ჯანმრთელობას, მაგრამ ეს ორი რამ ხშირად რეპროდუქციის ქვეშ მოიაზრება. ამიტომ სექსუალურ ჯანმრთელობას სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, WHO მიიჩნევს, რომ სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის, განათლებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ურზუნველსაყოფად საჭიროა

⁵⁴ იქვე, პარ. 86

⁵⁵ A/74/181, Report of the Independent Expert protection against violence and discrimination based on sexual orientations and gender identity, 2019, პარა. 24, იხ: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N19/220/72/PDF/N1922072.pdf?OpenElement>

⁵⁶ WHO, Sexual Health, Human Rights and the Law, 2015, გვ. 4-5, იხ: <https://www.who.int/publications/i/item/9789241564984>

⁵⁷ ICPD, Program of Action, 1994, იხ: https://www.unfpa.org/sites/default/files/event-pdf/PoA_en.pdf

დამატებითი ძალისხმევების გაღება, რაც გულისხმობს შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას და პოლიტიკის გაძლიერებას.⁵⁸

7.2. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

საქართველოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან მიმართებით აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილი მოაზრებულია ჯანდაცვის მარეგულირებელ კანონებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში. საქართველოს კანონები ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტების უფლებების შესახებ აღიარებს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით (თუმცა არა გენდერული იდენტობის ნიშნით) დისკრიმინაციის დაუშვებლობას ჯანდაცვის სერვისის გაცემისას⁵⁹, ისევე, როგორც პაციენტის კონფიდენციალურობისა⁶⁰ და ინფორმირებული თანხმობის საკითხებს. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 48-ე მუხლი ავალდებულებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.⁶¹

გარდა ამისა, საქართველოს ნაციონალიზებული აქვს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დიდი ნაწილი, რომელთა შორის არის ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულება ყველა ასაკის ადამიანისთვის (მიზანი 3). აღნიშნული მიზნის ფარგლებში სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, 2030 წლისთვის უზრუნველყოს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირება ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში⁶². ასევე, აიღო ვალდებულება, რომ 2030 წლისთვის მიღწეული იქნება: ჯანდაცვის სერვისები საყოველთაო დაფარვა, მათ შორის ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების, უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების ხელმისაწვდომობა.⁶³ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნის ქვეშ ამოცანათა სრულყოფილი განხორციელება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამასთან, ლგბტქი ადამიანების ჯანმრთელობის საკითხები, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, არ მოიაზრება საქართველოს ეროვნულ სტრატეგიებში. მაგალითად, საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია,⁶⁴ რომელიც მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვისათვის, არ გამოყოფს მონყვლად კატეგორიებს და არც მათ წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს მიმოიხილავს.

სექსუალური ჯანმრთელობის კუთხით საქართველოში ასევე რიგი გამოწვევები არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირებს აივ/შიდსის პრევენციისა და

⁵⁸ WHO, Sexual Health, Human Rights and the Law, 2015

⁵⁹ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, მუხლი 6; საქართველოს პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, მუხლი 6

⁶⁰ საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მუხლი 27

⁶¹ საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 48

⁶² საქართველოსადმი მისადაგებული ამოცანა 3.7

⁶³ საქართველოსადმი მისადაგებული ამოცანა 3.8

⁶⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 459, 2017 წლის 6 ოქტომბერი, იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3825285?publication=0>

მკურნალობის (ART) სახელმძიფო პროგრამები, აღნიშნული სამედიცინო სფერო კვლავ დისკრიმინაციულია ლგბტქი თემის წევრებისადმი, რაც გულისხმობს მათი კონფიდენციალურობის დარღვევასა და არასათანადო მოპყრობასაც.⁶⁵ აღნიშნულს ხელს უწყობს ხელმისაწვდომი და ობიექტური ინფორმაციის არარსებობა აივ/შიდსის შესახებ, რის გამოც აივ-პოზიტიური ადამიანები ექცევიან საზოგადოებრივ იზოლაციაში და კარგავენ კეთილდღეობის მიღწევის შანსს.

ზოგადად, ჯანმრთელობის სერვისების მიღებისას დისკრიმინაცია ან/და დისკრიმინაციის მოლოდინი მნიშვნელოვანი გამონწვევაა ლგბტქი ჯგუფისათვის. განსაკუთრებით პრობლემატურია სამედიცინო პერსონალის დაბალი მგრძობელობა და სტერეოტიპული დამოკიდებულება.⁶⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან დაცვას ლგბტ+ ჯგუფისათვის, უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკა კვლავ გავრცელებულია სამედიცინო სექტორში, მაგრამ მიმართვიანობა დისკრიმინაციულ ქმედებასა თუ უარყოფით გამოცდილებაზე, არსებითად მწირია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც არა მხოლოდ დისკრიმინაციის დადასტურებული ფაქტები, არამედ ლგბტ+ ჯგუფში არსებული დისკრიმინაციის მოლოდინია, რაც საზოგადოებაში არსებული მწვავე ჰომოფობიური განწყობებისა და სტიგმის შედეგია. შესაბამისად, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ლგბტ+ წევრთა ნაწილს თავად არ ჰქონია უარყოფითი გამოცდილება სამედიცინო პერსონალის მხრიდან, აუცილებელი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, ხშირად თავს იკავებენ ექიმთან ვიზიტისგან, რათა თავიდან აირიდონ შესაძლო ნეგატიური გამოცდილება.“⁶⁷

გარდა დისკრიმინაციული გამოცდილებისა, აღსანიშნავია სამედიცინო სერვისების ფინანსური ხელმიუწვდომლობა, რაც ლგბტქი ჯგუფისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამონწვევაა. ჯერ კიდევ COVID-19-ით გამონწვეულ პანდემიამდე ჩატარებულ კვლევებში ჩანდა, რომ სამედიცინო კონსულტაციის და მედიკამენტების ფასი ლგბტქი ჯგუფის წარმომადგენლებს ადეკვატური მკურნალობის საშუალებას არ აძლევდა. 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 32.7%-ისთვის მთავარი დაბრკოლება ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმიუწვდომლობაა, 41.4%-ისთვის კი – მედიკამენტების ფასი.

აღნიშნული გამონწვევები კიდევ უფრო მწვავეა ტრანს თემისთვის, რადგანაც საქართველოში არ არსებობს ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის შესაბამისი სახელმძღვანელოები და პროტოკოლები. შესაბამისად, იმ ტრანს ადამიანებს, ვისაც აღნიშნული სერვისებით სარგებლობა სურს, მათზე ხელი არ მიუწვდებათ. ამის გამო ისინი ხშირად თვითმკურნალობას მიმართავენ და შედეგად, სერიოზული რისკის ქვეშ დგება მათი როგორც ფიზიკური, ისე მენტალური ჯანმრთელობა.⁶⁸

ფიზიკურ ჯანმრთელობასთან ერთად მნიშვნელოვანი გამონწვევაა მენტალური ჯანმრთელობაც, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად უშუალო კავშირშია ძალადობის გამოცდილებასთან, დისკრიმინაციასა და მასთან დაკავშირებულ მძიმე შედეგებთან. როგორც კვლევები აჩვენებს, ჯგუფის წევრების უმრავლესობის შეფასებით, მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ისევე, როგორც ცხოვრებით კმაყოფილების შეგრძნება, საკმაოდ მძიმე იყო პანდემიამდე, მაგრამ მნიშვნელოვნად

⁶⁵ Universal Periodic Review, NGO Coalition Joint Submission on Sexual and Reproductive Health and Rights, Georgia, 2020, იხ: https://socialjustice.org.ge/uploads/products/covers/UPR_Georgia_submission_by_NGO_Coalition_on_SRHR_2020_1594713975.pdf

⁶⁶ ჯალაღანია ლ. ლგბტქი ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020

⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ლგბტ+ ჯგუფის უფლებებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2022, გვ. 47

⁶⁸ იქვე, გვ. 165-166

გაუარესდა პანდემიის შემდეგაც.⁶⁹ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) განხორციელებული კვლევის მიხედვით, პანდემიამდე კვლევის შერჩევის მიხედვით გამოკითხულთა წილი, ვინც ნეგატიურად აფასებდა საკუთარ ფიზიკურ მდგომარეობას, მხოლოდ 7.1% იყო. პანდემიის დაწყების შემდეგ კი თითქმის 2.5-ჯერ გაიზარდა და 17.1% მიაღწია. იგივე სიტუაციაა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან მიმართებაშიც: პანდემიის დაწყებიდან თითქმის სამჯერ გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც საკუთარ ფსიქიკურ მდგომარეობას ნეგატიურად აფასებს (შესაბამისად, პანდემიამდე 13.7% და 35.1% იყო). კიდევ უფრო დრამატულად გაიზარდა იმ რესპონდენტთა წილი, ვისი ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსიც უარყოფით ველში იყო 18%-იდან 46%-მდე.⁷⁰

მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, საქართველოში არ არსებობს მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის ერთიანი სისტემა. მენტალური ჯანმრთელობის სერვისები არ იფარება არც სახელმწიფოს საყოველთაო ჯანდაცვით და არც ძირითადი კერძო სადაზღვევო სქემებით. ამის გამო თემი მთლიანად არის დამოკიდებული სათემო ორგანიზაციების სერვისებზე, რომლებიც ლიმიტირებულია და შეზღუდული რესურსით ფუნქციონირებს. ზოგადად, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას არსებითად აუმჯობესებს ადეკვატურ სადაზღვევო პაკეტების არსებობა. საქართველომ საყოველთაო ჯანდაცვა 2013 წელს შემოიღო, რითიც არსებითად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება. შესაბამისად, გაიზარდა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დამოსახლეობის ფინანსური დაცვის უზრუნველყოფა. თუმცა, მიუხედავად დაფინანსების გაზრდისა, არ აღმოფხვრილა სექტორის სხვა პრობლემები, კერძოდ, რეფორმები არ შეხებია სერვისის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმებს, მედიკამენტების ხარისხისა და ფასის რეგულირებას; სახელმწიფოს ასევე არ მიუღია დამატებითი ზომები პირველადი ჯანდაცვის რგოლის, როგორც ფინანსურად ეფექტიანი სერვისის გასაუმჯობესებლად, რომელსაც შეუძლია დაავადებათა ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, მკურნალობა და პრევენცია.⁷¹

7.3. თვისებრივი კვლევის ანალიზი

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები ჯანდაცვის სერვისების მიღებისას

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ჯანდაცვის სერვისები ყველა რესპონდენტისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი არ არის. მათი ნაწილი აცხადებს, რომ არ აწყდება ეკონომიკურ ან სხვა სახის ბარიერებს ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისას; მცირე ნაწილს კერძო კორპორატიული დაზღვევა აქვს, რაც ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობას სრულად უზრუნველყოფს; უფრო იშვიათ შემთხვევებში კი ამბობენ, რომ ჯანდაცვის სერვისები არ დასჭირვებით და საერთოდ არ იყენებენ მათ.

მეორე მხრივ, მონაწილეთა ნაწილს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბარიერები ექმნება ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისას და იცნობს თემის წევრების საჭიროებებსა და სირთულეებს ამ კუთხით. რესპონდენტები აცხადებენ, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია, დასაქმების შემთხვევაში კი ხშირად ხელფასები იმდენად დაბალია, რომ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ვერ უზრუნველყოფს. ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობას სრულყოფილად ვერც საყოველთაო დაზღვევა უზრუნველყოფს. დამატებით ბარიერია ასევე მედიკამენტების მაღალი ფასები, რაც არ რეგულირდება სახელმწიფოს შესაბამისი ჩარევის გზით.

⁶⁹ აღდგომელაშვილი ე., Covid-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2022, გვ. 148

⁷⁰ იქვე

⁷¹ UN Women, Country Gender Equality Profile of Georgia, 2020, გვ. 33

ფინანსური ხელმიუწვდომლობის პრობლემის წინაშე ხშირად დგანან ტრანსგენდერი რესპონდენტები და ზოგადად, ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში. ისინი საკმაოდ ძვირადღირებულ სამედიცინო სერვისებს საჭიროებენ, იქნება ეს ჰორმონალური თერაპია თუ ქირურგიული ჩარევა, ამ სერვისის უზრუნველყოფაზე კი სახელმწიფო პასუხისმგებლობას არ იღებს.

„ხედმისაწვდომი ახ ახის საერთოდ. მქონია შემთხვევები, რომ ფინანსუხად შემძღებია ექიმთან მივსუდიყავი, მაგხამ ის წამღები, ხომღეღც გამომიწეხა, ექვისი თვის განმავღობაში ვეხ ვიყიდღ... შემოსავაღი ხაც მაქვის, თვიღან თვემღე უბხაღღდ საკვებზეც ძღივის მყოფღის... მქონღა შემთხვევა, ხოცა ოპეხაცია გავიკეთეღ და სახეღმწიფომ თითქოს ხაღაცა 40% თუ 60% დამიფახა, მაგხამ ოპეხაცია ხაც ღიღღა, ოხი მაგღენი წამღებში და ხეაბიღღგაციის პხოცესში დამჭიღღა... თავიღანვე ხომ მივყვეთ პოხმონოაღღღ-თეხაპიღღღ ნაწიღს, ეს ხომ დაიწყო, იმღენი გამოკვღევა გჭიღღება და ანაღიზები, ხომ ძაღიან ხოთუღი ახის, ამღენაღ მოწყვღად ადამიანს გქონღეს ეხთღხოუღად თუნღაც ის 500 დაღი, ხომ გამოკვღევებში დახაღჯო. ძაღიან, ძაღიან ბევიღი ადამიანი ახის, ხომღელსაც ახ აქვის.“ ინღღვიღუაღღღი ინღღეღვიუ, გხანსგენღეღი კაცი, თბიღღისი.

რესპონდენტები ასახელებენ გარკვეულ სახელმწიფო სერვისებს, რომლებიც ყველასთვისუფასოა, თუმცამხოლოდგარკვეულირისკ-ჯგუფებისთვისარისგანკუთვნიღღი - ძირითადად, აივ/შიღღსის და სხვა ინფექციური დაავაღებების გამოსავღენად საჭირო ანაღიზები და გამოვღენის შემთხვევაში, მკურნაღობის სრულად უზრუნველყოფა. შესაბამისად, ეს სერვისები საჭიროებების მხოლოდ მცირე ნაწიღს აკმაყოფიღებს. გარდა ამისა, ხშირად სახეღღება სათემო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეულ სერვისებს სთავაზობენ თემის წევრებს, თუმცა შეზღღული რესურსებიდან გამომღინარე, სისხღის ანაღიზები ინფექციური დაავაღებების შესამონღებღად, გინეკოლოგის მომსახურება, ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება და სხვა, ვერც ყველა საჭიროებას აკმაყოფიღებს და არც ყველასთვის ხელმისაწვდომია. აღინიშნა ისიც, რომ სათემო ორგანიზაციები არა მარტო ისეთ სერვისებს სთავაზობენ თემის წევრებს, რომლებსაც სახელმწიფო არ უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობენ ცნობიერების ამაღღებას ინფექციური დაავაღებებისა და დროული მკურნაღობის მნიშვნეღობის შესახებ, რითიც ხელს უწყობენ სახელმწიფო სერვისის გამოყენების კოეფიციენტიის ზრღას, რაღღან ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც გამონწვევაა. რესპონდენტები თვღიან, რომ აივ/შიღღსის შესახებ ცნობიერების ამაღღება სკოღიდანვე უნდა იწყებოღღეს.

„სახეღმწიფოსგანაც ახის [სეღვისი] და ოხგანიზაციისგან ის ახის, ხომ ოხგანიზაცია გაკვადიანებს, მიღღნაღ შიღღის ცენღეღში და იქ უკვე ღგები აღღიციხვაზე... ახღა ბოღოს ისეთი წამღები გამომიწეღეს, სამი მიღღეღამი 150 დაღი ღიღღა და ეხთი თვის განმავღობაში უნდა გამეკეთებინა. აი, მაღთღა, ოხგანიზაციები ხომ ახ ყოფიღიყო, მე მაგ წამაღს ჩემით ვეხ ვიყიდღღი. პანღემია იყო, აღაღ ვმუშაობღღი და საჭმეღიც კი ახ მქონღა სახღში და ოხგანიზაცია მეხმაღებოღა. ამ ოხგანიზაციამაც ხამღენს უყიღოს? მაგათაც ხომ ხაღაცა ხესუღსი აქვთ?“ ინღღვიღუაღღღი ინღღეღვიუ, ახაბინაღღღი გხანსგენღეღი ქაღღი, თბიღღისი.

ეკონომიკურ ბარიერებთან ერთად, რესპონდენტები საუბრობენ ჯანდაცვის სფეროში დისკრიმინაციული მოპყრობით გამონწვეულ დაბრკოლებებზე. მართალია, რესპონდენტთა ნაწიღს არ ახსენღება დისკრიმინაციის, შევიწროების ან ბუღინგის

შემთხვევები ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისას და არც სმენია ასეთი ფაქტების შესახებ, მაგრამ მეორე ნაწილი თავად ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი და/ან თემის სხვა წევრებისგან სმენია დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ბულინგის შესახებ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ჯანდაცვის სფეროში, მათ შორის აფთიაქებში და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ლგბტქი ადამიანები, ისევე, როგორც აივ ინფიცირებული ადამიანები, კვლავ სტიგმატიზებული არიან და ხშირია შეურაცხყოფის თუ უხეში მოპყრობის შემთხვევები. რამდენიმე ტრანსგენდერი მონაწილე ასევე საუბრობს ჰომოფობიური მოპყრობის ნიადაგზე დაწყებული სამართლებრივი დავების შემთხვევებზე სამედიცინო პერსონალთან თუ დაწესებულებასთან, რაც არაერთხელ დასრულდა ტრანსგენდერი ადამიანების სასარგებლოდ.

გამოხატვის მსგავსი პირდაპირი ფორმების გარდა, რესპონდენტები საუბრობენ ისეთ არავერბალურ ფორმებზე, როგორიცაა დამცინავი და ზიზღნარევი მზერა სამედიცინო პერსონალის მხრიდან.

„მე უბრალოდ ჩემი ჩაცმულობის გამო, ახ ვიცი, აგებუდად შემომხედეს, შემდეგ ერთმანეთში გადაიდაპაჩაკეს, დამცინეს. ეს ვაქცინაციის დროს იყო, აცხაზე და ისე დამაჩგყა ნემსი, რომ ახ ვიცი, ეღობოდა კვიდს, ან ახ ვიცი... სპეციალურად გააკეთა, ხასაც ჰქვია დამაჩგყა ნემსი... ამ შემთხვევაში იყო ჩემი ჩაცმულობა, რომ აი, გოგო ხაი. ესენიც ასაკში იყვნენ, ასე დაემთხვა, ხა ვიცი და ხაგომ ახ გამოვიყუხები გოგოსავით, და ხა ვიცი, დამცინავი [დამოკიდებულება].“ ფოკუს-ჯგუფი, დესტოხედი ქაღი, თბილისი.

რესპონდენტები პრობლემად მიიჩნევენ სამედიცინო პერსონალის სამუშაო ეთიკისა და კულტურის ნაკლებობას და ჰეტერონორმატიულ დამოკიდებულებას. ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც თავად ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელია, აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის, ბულინგის თუ სხვა შემთხვევებს საერთოდ არ გადანყდომია სამედიცინო სფეროში მუშაობისას - არც მის მიმართ და არც კოლეგების მხრიდან პაციენტების მიმართ; მაგრამ დასძენს, რომ პაციენტების შესახებ პირადი საუბრები არის ხოლმე: რა ეცვა და რატომ, რატომ ატარებდა პარიკს, რატომ ჰგავდა გოგოს, როდესაც პირადობის მიხედვით კაცი იყო და სხვა. თუმცა, ეს საუბრები პაციენტის ყურამდე არ მიდის.

„მქონია უხეხური შემთხვევა გინეკოლოგთან... წესად რომ აქვთ და გხადიციად, შეკითხვაზე - გათხოვიდი ხაი? - ვუპასუხე, რომ აია. ანუ სქესობივი ცხოვრებით ახ ცხოვრობ? აია, ვცხოვრობ სქესობივი ცხოვრებით აქტიუხად და შემდეგ ჩამეკითხა უკვე ოხსულობის საკითხებზე - აი ოხსულობა თუ გქონიათ ან ახდა ხომ ახ ფიქრობთ, რომ ოხსუდად ხაით... ვუთხაი, რომ შეუძლებელია. ხაგომ? თავს იცავთ. აია, თავს ახ ვიცავ. ახ დამჭიხვებია. კი, მაგხამ, ხომ ცხოვრობთ სქესობივი ცხოვრებით? ჩემი პაჩგნიოხი ქაღია. ეს სახე უნდა გენახათ ყვედას... ესე იგი, გეგონება გადაშენებული დინობავხი ადგა, მოვიდა მის კაბინეტში და დაუჭდა წინ.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი ქაღი, თბილისი.

მონაწილეთა დაკვირვებით, ასაკოვან სამედიცინო პერსონალს ნაკლები მიმღებლობა აქვს, ახალგაზრდებთან შედარებით, თუმცა მიმღებლობის პრობლემას ყველა ასაკობრივ ჯგუფში ხედავენ. ამის მიუხედავად, რესპონდენტების აზრით, ჯანდაცვის სფეროში ვითარება ნელ-ნელა იცვლება. რაც უფრო მეტი პირადი შეხება აქვთ სამედიცინო პირებს ლგბტქი პაციენტებთან თუ თემის წევრ სამედიცინო პერსონალთან, მით უფრო იზრდება მიმღებლობა. გარდა ამისა, მონაწილეთა ნაწილი მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებას და პერსონალს მიმართავს, ვისთანაც სათემო ორგანიზაცია

გადაამისამართებს და ვის მიმართ ნდობაც მეტია, როგორც კომპეტენციის, ისე კონფიდენციალურობის, ეთიკისა და თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით.

დისკრიმინაციისა და უსიამოვნო გამოცდილების თავიდან არიდების კიდევ ერთი გზაა ლგბტქი თემის წევრების გამოცდილების გაზიარება და ჯანდაცვის სერვისების უკვე „დაცდილი“, სანდო პირისგან მიღება. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი ჰყვება, რომ როდესაც დასჭირდა ჰოსპიტალიზაცია, მიმართა კლინიკას, სადაც ტრანსგენდერი ადამიანი მუშაობდა, მეტი ნდობა ჰქონდა ისეთი დაწესებულების მიმართ, სადაც თემის წარმომადგენელი მუშაობდა.

კონფიდენციალურობის დაცვის საკითხის მიმართ რესპონდენტებს განსხვავებული დამოკიდებულებები და გამოცდილებები აქვთ. მათ ნაწილს შეგრძნება ან შემთხვევა, როცა კონფიდენციალურობა ირღვევა არ ახსენდება, ნაწილი კი აცხადებს, რომ სამედიცინო სერვისებით სარგებლობისას, არასდროს აქვს განცდა, რომ პაციენტის კონფიდენციალურობა დაცულია. კონფიდენციალურობის დარღვევის ან ბულინგის შიში ლგბტქი თემის წევრებს ან უარს ათქმევენებს გარკვეული სერვისებით სარგებლობაზე (მათ შორის, აივ ტესტირების ჩატარებაზე) ან აიძულებს დამალოს საკუთარი გენდერული იდენტობა თუ სექსუალური ორიენტაცია.

„ყოფიდა ფაქტები ბათუმში, ძალიან ბევრი, როდესაც კონფიდენციალურობა ახ იყო დაცული, ინფექციუხში განსაკუთრებით. აი მაგალითად, მახსოვს ერთხელ ვიღაც იყო მისუდი... და სახლში მისვდამდე, უკვე დედამისმა იცოდა, რომ ეს ბავშვი იყო ინფექციუხში, იმიტომ, რომ ერთ-ერთმა იქ მომუშავე პიროვნებამ, ამ ბიჭის დედას მისწვია, რომ შენს შვილს შიღსი აქვს, ხა უნდოდა ინფექციუხში. და ასეთი გახეიმო გვაქვს ზოგადად, ახაკონფიდენციალუხი, ახაკუმანუხი, თავად ექიმებსაც ახ აქვთ ხორმე სწოხი დამოკიდებულება... ანუ ბევრ ადამიანს აქვს, ანუ ჩემს მეგობრებს და ადამიანებს, ვისაც ვიცნობ, ხშირად აქვთ ხორმე პირობემა ინფექციუხში მისვლის იმიტომ, რომ ახ გხძნობენ თავს დაცულად და ეშინიათ იქ გამოცხადების ან მისვლის. ამიტომაც ახის ხორმე ბათუმში დაბადი პიეპის პიოგამაში ჩახთურობა, რომ ახ ახის კონფიდენციალურობა დაცული.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, ხეგიონი.

ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური გარემო ვრცელდება ჯანდაცვისა და სხვა სფეროებზე და ლგბტქი თემის წევრებს აიძულებს გარკვეული სერვისების მიღებისგან თავი შეიკავონ. უმეტეს შემთხვევაში, ისინი იძულებულები არიან, ისარგებლონ მხოლოდ იმ სერვისებით, რასაც სათემო ორგანიზაციები სთავაზობენ ბენეფიციარებს. აღნიშნული ტენდენცია ლგბტქი თემის წევრების ე.წ. ბენეფიციარების როლში „ჩაკეტვის“ პრობლემაზე მიუთითებს.

დისკრიმინაციული მოპყრობის, კონფიდენციალურობის დარღვევისა და სხვა ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად, ხშირად პრობლემად სახელდება ექიმების კომპეტენციის ნაკლებობა. განსაკუთრებით ხშირად ახსენებენ ამ კონტექსტში გინეკოლოგებსა და ენდოკრინოლოგებს, ასევე უროლოგებს, პროქტოლოგებს, ფსიქიატრებსა და ფსიქოლოგებს. ამის გამო კვლევის მონაწილეები, მათი ინფორმაციით კი თემის სხვა წევრებიც, ერიდებიან სერვისების მიღებას, რადგან ექიმები უმეტესად ნაკლებად არიან ინფორმირებულები ლგბტქი ადამიანების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ და ხშირია არასწორი მკურნალობის შემთხვევები. რესპონდენტების გამოცდილებით, სამედიცინო პერსონალს შორის ხშირია დაბნეულობა ტრანსგენდერი პაციენტების გარშემო. ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს შემთხვევასაც, როდესაც ექიმებს, რომლებიც ოპერაციას უკეთებდნენ, წარმოდგენა არ ჰქონდათ ტრანსგენდერი

კაცების არსებობის შესახებ. მათ ტრანსგენდერი ადამიანი ქალი ეგონათ, ვინაიდან ტრანსგენდერი ქალების მკურნალობის გამოცდილება ჰქონდათ, შესაბამისად, კაცების პალატაში დაანვინეს და მხოლოდ ოპერაციის შემდეგ, როცა კაცის სასქესო ორგანოები ვერ „უპოვეს“, მიხვდნენ, რომ ბიოლოგიურად მდედრობით სქესთან ჰქონდათ საქმე. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ფსიქიატრმა პაციენტს ჰომოსექსუალობის „პრობლემის“ მოსაგვარებლად ჰეტერო ქორწინებაში შესვლა ურჩია და ა.შ.

ამ პრობლემას ტრანსგენდერი პაციენტებისთვის ამწვავებს ისეთი სამართლებრივი საკითხებიც, როგორცაა პირადობის დამადასტურებელ მონომობაში სქესის შეცვლასთან დაკავშირებული წინალობები. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც სამედიცინო პერსონალი გაგებით ეკიდება ტრანსგენდერი პაციენტების საჭიროებებს, სამედიცინო დაწესებულების შინაგანანესი ავალდებულებს მათ განათავსონ პაციენტი მისი ბიოლოგიური სქესის შესაბამის პალატაში.

„ოჩი შემთხვევა იყო, როდესაც კოჩონა დამემახთა და საავადმყოფოში მოვხვდი... გხანსგენდერი ადამიანი მუშაობს იქ ერთი, იმ კლინიკაში დავწექი და შესაბამისად, ყვედაფეხი იცოდნენ. ჩემმა მეგობარმა, გხანსგენდერმა ქაღმა მკითხა, რომ პირობებმა ხომ ახ გაქვთ კაცების პალატაში რომ დავაწვინონო. მე ვუთხარი ახა, ხა სისუდედეა, ქაღებთან ახ დამაწვინოთ თქო. ხომ და ახდა, იმან ხომ უთხრა, მაგამ დამაწვინეს ცადკე პალატაში, იმიგომ, რომ საავადმყოფოს შინაგანაწესი კიძადავდა ქაღების და კაცების ერთ პალატაში ყოფნას... თვითონ ექიმი რომ შემოვიდა, ბოღში მომიხადა, რომ ჩვენ კი გვითხეს, რომ კაცების პალატაში გინდოდათო, მაგამ საავადმყოფოს შინაგანაწესი კიძადავსო რომ იუხიდიუდად ხაც გიწეხიათ, მაგის მიხედვით უნდა ვიხედმძღვანეროთ... მდეღობითი მიწეხია, სტახაბუხგში მაქვს საქმე და მაგას ვუჩივი სახედმწიფოს, რომ ახ შემიცვადეს.“ ინდივიდუალური ინტეგრირი, გხანსგენდერი კაცი თბილისი.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის საჭირო ჯანდაცვის სერვისები საქართველოში დიდწილად დანერგულია, თუმცა გამოწვევაა ერთი მხრივ - ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, მეორე მხრივ კი - სამედიცინო პერსონალის არაკომპეტენტურობა და არასენსიტიურობა.

საჭირო სერვისებზე საუბრისას, ყველაზე ხშირად ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება სახელდება, ვინაიდან თემის წარმომადგენლებს ხშირად უწევთ ტრავმულ გარემოში ცხოვრება, ოჯახშიც და საზოგადოებაშიც.

„თემს [ესაჭიროება] ბევრი სეხვისი, დაწყებული ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, როცა ამხედა ძადარობის და ბუდინგის მსხვეჰპდი ხაჩ მუდმივ ხეჰიმში... ანუ უსაფხთხო სეხვისის მიწოდებაზეც აჩის აქ საუბარი, ახა მაგო უბიაროდ რომ ახსებობდეს ხა სეხვისი... კონფიდენციალურობის შეგძნება აჩავის ახა აქვს, მე ასე მგონია ხა. თუ ისეთი ექიმი ახა, ვისთანაც წდება დადიხა და ენდობი, უბიაროდ საავადმყოფოში შეხვიდე, მიიღო სეხვისი და იყო კმაყოფიდი. ხა ვიცი ახ მგონია, რომ ახსებობს ეგეთი ხა თემის წეჰებთან მიმახთებაში, ყოველ შემთხვევაში.“ ინდივიდუალური ინტეგრირი, ახაბინახუდი, თბილისი.

თემის წევრებისთვის ამ და სხვა საჭირო სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფენ სათემო ორგანიზაციები, თუმცა, ვინაიდან მათი ბიუჯეტი შეზღუდულია, ვერც თემის ყველა იმ წევრის საჭიროებების დაკმაყოფილებას ახერხებენ, ვისთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სხვადასხვა სერვისის მიღება და არც ყველა სერვისზე

მიუწვდებათ ხელი. აღინიშნა საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე სერვისებზე უთანასწორო წვდომის პრობლემაც – თუკი ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს სათემო ორგანიზაციები ონლაინ უზრუნველყოფდნენ პანდემიის დროს, ფიზიკურად მიწოდებაზე გადასვლის შემდეგ ეს სერვისები აღარ არის ხელმისაწვდომი თემის რეგიონებში მცხოვრები წევრებისთვის.

სპეციფიკურად ტრანსგენდერი პირებისთვის (განსაკუთრებით ტრანზიცის პროცესში) საჭირო „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ სერვისები ჯანდაცვის სფეროში ეკონომიკურად სრულიად ხელმიუწვდომელია – ენდოკრინოლოგის მომსახურება, ჰორმონალური თერაპია, პლასტიკური თუ ქირურგიული ჩარევა და სხვა. რესპონდენტთა ინფორმაციით, ბევრ ქვეყანაში მსგავსი სერვისების მიწოდებას ტრანსგენდერი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს სახელმწიფო ან სათემო ორგანიზაციები.

ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან ერთად აღინიშნება კომპეტენციის ნაკლებობა, არასწორი მკურნალობა და თემის წევრებისთვის, კონკრეტულად კი ტრანსგენდერი პაციენტებისთვის, მიყენებული ზიანი – „ენდოკრინოლოგები გვყავს საშინელი, რომლებიც ტრანსგენდერ ქალებს თბილისში აგიჟებენ არასწორი რეცეპტების გამო. ესეც ძალიან დიდი პრობლემაა.“ ფოკუს-ჯგუფი, ტრანსგენდერი ქალი, რეგიონი.

8. სოციალური დაცვა

8.1. საერთაშორისო სტანდარტი

სოციალური დაცვა და ადეკვატურ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებია და მათი უზრუნველყოფა სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.⁷² მონაწილე სახელმწიფოები ასევე აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი, კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით. აგრეთვე აქვს უფლება, განუწყვეტილი იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.⁷³

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიხედვით, საცხოვრისი არ უნდა განვმარტოთ ვინ როდ, არამედ უნდა დავინახოთ, როგორც სადმე ცხოვრების უფლება, უსაფრთხო, მშვიდ (მშვიდობის კონტექსტში) და ღირსეულ გარემოში. ადეკვატური საცხოვრისის უფლების მახასიათებლები ძირითადად მოცემულია არა თავად ზემოხსენებულ პაქტში, არამედ კომიტეტის ზოგად კომენტარებში, კერძოდ, N4 (1991) კომენტარში ადეკვატური საცხოვრისის უფლების შესახებ და N7 (1997) კომენტარში, იძულებითი გამოსახლების შესახებ.

ამ ძირითად მახასიათებლებს იმეორებს და ავრცობს UN Habitat-იც, რომლის მიხედვითაც, ადეკვატური საცხოვრისი უნდა მოიცავდეს „მეტს, ვიდრე ოთხი კედელი და ქერია“.⁷⁴ მრავალი პირობების დაცვაა საჭირო იმისათვის, რომ საცხოვრებელი თუ თავშესაფარი ადეკვატურ საცხოვრისად ჩაითვალოს. ეს პირობები ისეთივე ფუნდამენტურია, როგორც თავად თავშესაფრის ქონა და უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- **უსაფრთხოება და ცხოვრების გარანტია** – საცხოვრისი არ არის ადეკვატური თუ მის მაცხოვრებლებს არ აქვთ სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც მათ დაიცავს იძულებითი გამოსახლებისგან, შევიწროებისა და მუქარისგან.
- **მომსახურების, მასალების, საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ მის მაცხოვრებლებს არ აქვთ უსაფრთხო სასმელი წყალი, ადეკვატური სანიტარული პირობები, ენერჯია სამზარეულოსთვის, გათბობისთვის, განათებისთვის, საკვების შესანახად ან ნაგვის გადასაყრელად.
- **ფინანსური ხელმისაწვდომობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ მისი ფასი/ღირებულება რისკის ქვეშ აყენებს მაცხოვრებლების მიერ სხვა უფლებებით სარგებლობას.
- **საცხოვრებლად ვარგისიანობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ ის ვერ იძლევა ფიზიკურ უსაფრთხოების გარანტიას ან არ უზრუნველყოფს ადეკვატურ სივრცეს, ასევე, სიცივისგან, ნესტისაგან, სიციხისგან, წვიმისგან, ქარისგან ან ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა პოტენციური საფრთხეებისგან დაცვას.

⁷² ICESCR, მუხლი 9

⁷³ ICESCR, მუხლი 11

⁷⁴ UN Habitat, The Right to Adequate Housing, Fact Sheet no. 21/Rev.1, გვ. 3, nb: https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/FS21_rev_1_Housing_en.pdf

- **ხელმისაწვდომობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ არ ითვალისწინებს დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებებს (მაგ: შშმ პირები).
- **ადგილმდებარეობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ ის მოწყვეტილია დასაქმების შესაძლებლობებს, ჯანდაცვის სერვისებს, სკოლებს, ბავშვთა ცენტრებს და სხვა სოციალურ დაწესებულებებს ან თუ მდებარეობს დაბინძურებულ ან სახიფათო გარემოში.
- **კულტურული ადეკვატურობა** – საცხოვრებელი არ არის ადეკვატური, თუ არ არის მორგებული კულტურული იდენტობის გამოხატვის უფლებაზე.

დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობა ადეკვატური საცხოვრისის შექმნის კრიტიკული კომპონენტებია. დისკრიმინაცია და უთანასწორობა არა მხოლოდ სეგრეგაციისა და ძალადობის რისკებს ზრდის, არამედ იწვევს სიღარიბეს და ხანგრძლივ ეკონომიკურ მარგინალიზებას.⁷⁵

ადეკვატურ საცხოვრისზე უფლების გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2005 წლის ანგარიშის მიხედვით, საცხოვრისზე ხელმიწვდომლობა იწვევს უსახლკარობას, რაც არა მხოლოდ ინდივიდუალური გარემოებების, არამედ სისტემური ფაქტორების შედეგია. ადამიანის უფლებათა მიდგომა უსახლკარობის მიმართ აღიარებს მის კავშირს ისეთ ინდივიდუალურ დინამიკასთან, როგორცაა ფსიქო-სოციალური გამოწვევები, სამუშაოს დაკარგვა და სხვა. თუმცა უსახლკარობა ასევე გამოწვეულია სახელმწიფოს არაეფექტიანი მექანიზმებით, რომლებიც ვერ პასუხობს ინდივიდების საჭიროებებს მათი ღირსების პატივისცემითა და თანაგანცდით.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა მიდგომა უნდა პასუხობდეს უსახლკარობის სტრუქტურულ მიზეზებს, რომლებიც ჩანს ეროვნულ პოლიტიკებში, პროგრამებში თუ კანონმდებლობებში, ისევე როგორც, საერთაშორისო ფინანსურ/განვითარების შეთანხმებებში, რომლებიც ხელს უწყობს და ქმნის უსახლკარობისთვის შესაბამის ნიადაგს.⁷⁶

სწორედ აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას IESOGIESC-ის 2019-წლის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, ლგბტქი ადამიანებისათვის სოციალური დაცვისა და საცხოვრისის ხელმისაწვდომობის ბარიერებს წარმოქმნის არა მხოლოდ ინდივიდუალური ფაქტორები, არამედ სტრუქტურული უთანასწორობაც, რისი შედეგიცაა ძალადობა, დისკრიმინაცია და სტიგმა. თუმცა, გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს არაეფექტიანი დამცავი მექანიზმები, გაუმართავი კანონმდებლობა და სოციალური პოლიტიკა, მათ შორის, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა არ აღიარება, სოციალური ექსკლუზიის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ხდება.⁷⁷

1.1. ეროვნული ვალდებულებები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

სოციალური დაცვის მექანიზმების არსებობა და მათი ეფექტიანი მუშაობა მოსახლეობის სიღარიბის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მუდმივად აწარმოებს მოსახლეობის/შინამეურნეობების შემოსავლების,

⁷⁵ იქვე, გვ. 10

⁷⁶ Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2005, პარ. 13

⁷⁷ IESOGIESC, A/74/181, 2019, პარ. 18,

ეკონომიკური მდგომარეობისა და სიღარიბის მაჩვენებლების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას⁷⁸, არ ხდება აღნიშნული ინფორმაციის პოლიტიკაში თარგმნა. სახელმწიფო არ ახორციელებს მიზანმიმართული პროგრამებს, რომლებიც ყველა მონყვლადი ჯგუფის საჭიროებაზე იქნება მორგებული. სახელმწიფოს არასაკმარისად აქვს გააზრებული სიღარიბისა და მასზე მიბმული უსახლკარობის რისკების გამომწვევი ფაქტორები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, რაც განაპირობებს სათანადო საცხოვრისზე უფლების დარღვევას ან/და დარღვევის რისკის წარმოშობას.⁷⁹

„ისეთ პირობებში, როდესაც შრომის ბაზარზე შესვლა სულ უფრო რთულდება, სასკოლო და უმაღლესი განათლება არ წარმოადგენს ბაზისური სოციალური სიკეთებით სარგებლობის საფუძველს, ხოლო სოციალური დაცვის ბენეფიტები არ არის ხელმისაწვდომი, სახელმწიფო ახალგაზრდებს ოჯახებზე დამოკიდებულს ტოვებს.“⁸⁰ შესაბამისად, სოციალურად მონყვლადი ის ლგბტქი თემის წევრები, რომლებიც ოჯახში ძალადობას ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა ფორმებს აწყდებიან, სხვა მიზეზებთან ერთად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, სრულიად დაუცველები და მარტონი რჩებიან სოციალურ-ეკონომიკურ გამონწვევებთან.

საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ღიაობის შედეგად აღმოცენებული ძალადობის შემთხვევაში, ისინი იძულებულები ხდებიან დატოვონ ოჯახის სივრცე (საკუთარი გადაწყვეტილებით თუ ოჯახის წევრების მოთხოვნით) ან დარჩნენ და შეზღუდონ საკუთარი თავის გამოხატვა ძალადობისა და გარიყვის თავიდან ასარიდებლად. ოჯახის მიერ ლგბტქი თემის წევრების გარიყვასა და იზოლაციას თან მოსდევს ეკონომიკური და სხვა ტიპის მხარდაჭერის გაქრობაც. ცხადია, აღნიშნული ასევე დაკავშირებულია განათლების მიღების შესაძლებლობის დაკარგვასთან, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტასა და უსახლკარობის რეალურ რისკთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახში ჩადენილი დანაშაული ლგბტქი ადამიანებისათვის შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მომტანი იყოს, არამედ არსებითად შეაფერხოს ადამიანის ინდივიდუალური განვითარება, წარმოშვას სიღარიბის რისკები და კეთილდღეობისთვის რეალური ბარიერები შექმნას.

ჯერ კიდევ პანდემიამდე განხორციელებულ კვლევებში ლგბტქი თემის წევრები საუბრობდნენ მონყვლადობაზე და ადეკვატური საცხოვრისთან დაკავშირებულ გამონწვევებზე. 2020 წელს განხორციელებულ კვლევაში ჩანს, რომ თემის გამოკითხულ წევრთა მხოლოდ 6.1%-ს აქვს სახლი/ბინა პირად საკუთრებაში⁸¹, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ისინი ოჯახზე და შემოსავლებზე არიან დამოკიდებული, რომ ქირა გადაიხადონ. ასევე გამოიკვეთება საქართველოს საბინაო პოლიტიკის არსებითი სისუსტეზეც, რის გამოც საცხოვრისი მთელი მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელი გახდა. კვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა 20.9% ყოფილა უსახლკარობის რისკის წინაშე, ხოლო 13.4%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა (N=63) 70.1% ასეთ დროს მეგობართან ცხოვრობდა, 35.8% – ნათესავთან, ხოლო 26.1%-ს ქუჩაში უწევდა ცხოვრება.⁸²

ამასთან, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც პანდემიით გამონწვეული ეკონომიკური და სოციალური კრიზისის

⁷⁸ nb: www.geostat.ge

⁷⁹ ჯალაღანია ლ. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020

⁸⁰ ჯალაღანია ლ. და ჩუთლაშვილი ქ. ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე: საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამონწვევები, 2018, გვ. 21, nb: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf

⁸¹ ჯალაღანია ლ. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, 2020, გვ. 175

⁸² იქვე

გავლენას სწავლობდა ლგბტქი ჯგუფზე, აღნიშნავს: „COVID-19-თან და ანტიკრიზისულ ღონისძიებებთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავების ფონზე წარმოქმნილი სპეციალური საჭიროებების შესწავლამ აჩვენა, რომ გამოკითხულთაგან, თითქმის ყოველ მეათეს შეექმნა საცხოვრისის პრობლემა 12.8% (N=27), ყოველ მესამე რესპონდენტს კი (34.6%, N=73) ბინის ქირის გადახდა გაუჭირდა“.⁸³ ასევე აღსანიშნია, რომ კარანტინის დროს იმ რესპონდენტების წილი, ვინც უკიდურესად მძიმედ აფასებდა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას თბილისში 75.8%-ს შეადგენდა, რეგიონებში კი 79.3%-ს, პანდემიის შემდგომ კი ეს მაჩვენებელი შეიცვალა, თბილისში მაცხოვრებელი რესპონდენტების მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა, ვიდრე რეგიონებში.⁸⁴

აღსანიშნავია, რომ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები და ეკონომიკური კრიზისი მძიმედ აისახა იმ ტრანს ადამიანებზე, ვიმც კომერციულ სექს-სამუშაოშია ჩართული. ზემოხსენებული კვლევის მიხედვით, კარანტინის დროს მონაწილეთა ეკონომიკური მდგომარეობა დრამატულად შეიცვალა: 23-დან 17-მა მონიშნა პასუხი „ძალიან მძიმე“, ოთხმა „მძიმე“, ორმა კი - „საშუალო“.⁸⁵ ცხადია, ამის მიზეზი შემოსავლის წყაროს დაკარგვა იყო, რაც აისახა როგორც ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე, ისე საცხოვრისის ხელმისაწვდომობაზე. აღნიშნული ჯგუფი სახელმწიფოს ანტიკრიზისულ გეგმაში არ მოხვედრილა, ამიტომ თემის წევრებს ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ სათემო ორგანიზაციები, მათ შორის თანასწორობის მოძრაობა. მხარდაჭერა გულისხმობდა თემის წევრებისთვის ქირის გადახდას და საბაზისო ჰიგიენური თუ საკვები პროდუქტით მომარაგებას თბილისსა და რეგიონებში.

8.2. თვისებრივი კვლევის ანალიზი

სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა

სოციალური დაცვა მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს მექანიზმი სიღარიბის დაძლევის უმთავრესი ელემენტია და ქმნის საბაზისო პირობებს ადამიანების თუ შინამეურნეობების ადეკვატური ცხოვრებისთვის. კვლევა აჩვენებს, რომ სოციალური დაცვის ძირითად სისტემათა დიდი ნაწილი საქართველოში არ ფუნქციონირებს ან არასრულყოფილად არის ადმინისტრირებული, რაც ასევე გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემასაც. კერძოდ, წიანმდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქი თემის წევრები არ ფლობენ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებიც გარკვეულ მწირ მხარდაჭერას უწევს სოციალურად მოწყვლად მოსახლეობას საქართველოში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სოციალურ სერვისების დიდი ნაწილი, მაგალითად, უსახლკაროთა მხარდაჭერა და მათი ადეკვატური საცხოვრისით უზრუნველყოფა არ ხდება ან არასაკმარისი რესურსებით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებული სერვისები არ არის გენდერულად სენსიტიური, რაც შეიძლება იწვევდეს თემის წევრების არაპირდაპირ გარიყვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თემის კვლევაში მონაწილე წევრებს სოციალური სერვისების გამოყენების თვალსაზრისით საკმაოდ მწირი გამოცდილებები აქვთ, თუმცა, მათი ინფორმაციით, ზოგადად, თემის წევრებს სოციალური დაცვისა თუ საცხოვრისის სახელმწიფო სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ სოციალური დაცვის სერვისების შესახებ საზოგადოებასთან კომუნიკაციას სახელმწიფო არ აწარმოებს.

⁸³ აღდგომელაშვილი ე. Covid-19-ის გავლენა ლგბტქი თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2022, გვ. 50

⁸⁴ იქვე, გვ. 57

⁸⁵ იქვე

*„სახელმწიფო კუთხით ნაკლებად ახსებობს ასეთი სეჩვისები, ფაქტობრივად ახ ახსებობს. ამ კუთხით პასიუხია სახელმწიფო სხუდიად და მათ, ასე ვთქვათ, საეხთოდ ახ აინგეხესებთ ამ ადამიანების ბედი და ახ ცდიდობენ, ხომ მათ გაჩკვეუდი სახის დახმახება აღმოუჩინონ. შემდგომში, სანამ დეტადუხ შედეგებამდე ახ მივდივახთ, მანამდე ხეაგიხება ახ ხდება და შემდეგ ხეაგიხებას ახიცი აღაჩ აქვს, იმიტომ, ხომ დაგვიანებუდია ეს ყვედაფეხი.“
ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, თბილისი.*

რადგან სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემების არასრულყოფილია, ამ სერვისებს არასამთავრობო, ძირითადად კი სათემო ორგანიზაციები გასცემენ, სწორედ ისინი მოიძიებენ ფინანსურს რესურსებსაც და ხშირად სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების ფუნქციას ითავსებენ. აღნიშნული ფაქტი სერიოზული პრობლემაა ამ სერვისების მდგრადობისათვის, რადგან სათემო ორგანიზაციების რესურსი არ ყოფნის თემის წევრების საჭიროებებს. ამასთან, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი არ შეიძლება მივიჩნიოთ მათი საქმიანობის ნაწილად. რესპონდენტები აცხადებენ, რომ სოციალურ სერვისებს - საცხოვრისით უზრუნველყოფა რამდენიმე თვის განმავლობაში, საკვები პროდუქტების ვაუჩერები და სხვა – მხოლოდ არასამთავრობო სათემო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ. რესპონდენტთა ნაწილს ან თავად მიუღია მსგავსი სერვისები არასამთავრობო სათემო ორგანიზაციებისგან, ან იცნობს თემის წევრებს, რომელთაც ამ სერვისებით უსარგებლიათ.

სოციალურ სერვისებზე წვდომას ზღუდავს დისკრიმინაციული გარემოც. რამდენიმე ტრანსგენდერი მონაწილე საუბრობს სოციალური სერვისების მოთხოვნისას გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ბულინგის შემთხვევებზე. ისინი აცხადებენ, რომ მომხდარის შესახებ სასამართლო დავა აწარმოეს, რაც მათ სასარგებლოდ დასრულდა.

ოჯახთან ურთიერთობა და საცხოვრისის საკითხები

რესპონდენტებს ოჯახთან ურთიერთობის სხვადასხვა გამოცდილება აქვთ. მათ ნაწილს ოჯახისთვის გაუზიარებია საკუთარი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია და აქვს კარგი ურთიერთობა; მეორე ნაწილის შემთხვევაში ოჯახი არ არის ინფორირებული და შესაბამისად, მათი გენდერული იდენტობა თუ სექსუალური ორიენტაცია ოჯახთან ურთიერთობაზე არ აისახება; დარჩენილ ნაწილს კი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის გამოვლენის შემდეგ ოჯახთან რთული და პრობლემური ურთიერთობები ჩამოუყალიბდა.

როგორც აღინიშნა, მონაწილეთა ნაწილი, გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების მიუხედავად, კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს ოჯახთან. თუმცა ხშირად მონაწილეები იმასაც აცნობიერებენ, რომ მსგავსი ისტორიები იშვიათია. ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახის წევრებს გაუჭირდათ შვილის გენდერულ იდენტობასთან თუ სექსუალურ ორიენტაციასთან შეგუება, მაგრამ ეს ურთიერთობაზე უარყოფითად არ ასახულა, რადგან ჰქონდათ ან აქვთ მიღების მცდელობა. ნახსენებია შემთხვევაც, როდესაც მონაწილის დედა ჰომოფობიურ დამოკიდებულებას/ქცევას ავლენდა, მაგრამ შვილის შესახებ რომ გაიგო, დამოკიდებულება უფრო პოზიტიურისკენ შეეცვალა.

„მშვენიეხი დამოკიდებულება მაქვს ძმებთან, მამილებთან, თითქმის ყველამ იცის ჩემს შესახებ და მაგ მხივ ბედნიეხი ვაი. ჰობდება აი მქონია ახანაიხი, ხაც ძადიან, ძადიან იშვიათობაა, იმიტომ, ხომ ბევხი თემის წევხისგან ვიცი მე, ხომ ოჯახიდან ძადიან აგხესია მოდის, მით უმეგეს მამების და დედების მხიდან, ისეთი ისინი, ხომ აი, მონასტეხში უნდა წაგიყვანო და იქ გიმკუხნადებენ და აი, წამლები უნდა დაგინიშნონ და ა.შ. და ა.შ.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსედი ქადი, ხეგიონი.

მონანილეთა ნანილი, რომელსაც ოჯახისთვის არ გაუზიარებია ინფორმაცია საკუთარი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ამის მიზეზად ჰომოფობიურ განწყობებს ასახელებს. რესპონდენტების ნანილი ოჯახის წევრებისგან ლგბტქი ადამიანების შესახებ ისმენს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „ჯოჯოხეთში დაინვებიან“, „მომაკვდინებელ ცოდვაში დგამენ ფეხს“ და ა.შ. ზოგიერთი მონანილე აცხადებს, რომ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე ოჯახთან საუბარი მიზანშეწონილად არ მიაჩნია, არც სურვილი ჰქონია და არც უცდია. რესპონდენტები თავს იკავებენ სოციალურ ქსელში საკუთარი ურთიერთობების გამჟღავნებისგანაც, რომ ოჯახის ყურამდე არ მივიდეს ინფორმაცია.

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებს ოჯახის ზოგიერთი წევრისთვის გაუზიარებიათ საკუთარი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია, ზოგიერთისთვის კი არა, რადგან იციან მათი ჰომოფობიური განწყობების შესახებ. ასეთ დროს, როგორც წესი, უფრო ხშირია დედისთვის ან და-ძმისთვის გაზიარების ფაქტები, ვიდრე მამისთვის.

„ოჯახმა აი იცის, ხა თქმა უნდა. ახც ვაპიხებ და ახც მაქვს გეგმაში ხომ ვუთხხა, იმიტომ, ხომ ვიცი, ხა დამოკიდებულებაც ექნებათ, ანუ ძადიან ცუდი და ამიტომ მეშინია. მხოდოდ ჩემმა დამ იცის და ხამდენიმე ახდობდებმა, ნათესავებმა, ასე ხომ ვთქვათ, ჩემი ასაკისებმა. დედ-მამასთან კახგი დამოკიდებულება მაქვს, ხა თქმა უნდა, მაგხამ მაგ თემასთან დაკავშიხებით სამომავლოდაც აი ვგეგმავ, ხომ ვუთხხა იმიტომ, ხომ ვიცი, ხომ ძადიან ცუდი, ძადიან მძიმე დამოკიდებულება ექნებათ და ახჩევანის გაკეთება მომიწევს - ან ოჯახი, ან ჩემი ოხიენგაცია და ანუ, თავს ვიკავებ მაგ კუთხით და ვცდიდობ ყვედანაიხად, ხომ აი მივიდეს ოჯახამდე ხამე გზით.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსედი ქადი, თბიდისი.

მონანილეთა ნანილს, რომელსაც ოჯახის წევრებისთვის თავად გაუმჟღავნებია ან მათ სხვისგან გაუგიათ შვილის გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ, საკმაოდ რთული და პრობლემური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ოჯახთან. რესპონდენტებს აქვთ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ოჯახის წევრების მხრიდან. ხშირია ტრავმული გამოცდილებებიც – რესპონდენტები იხსენებენ ფსიქოლოგთან იძულებით მიყვანის, მედიკამენტოზური მკურნალობის, მონასტერში გაგზავნის, იძულებით დაქორწინების მცდელობებს და სხვა. ზოგიერთი მონანილე ვერ სარგებლობს პრივილეგიებით, რაც თავისთავად აქვთ ოჯახის ჰეტეროსექსუალ წევრებს და როგორიცაა, მაგალითად: პარტნიორის ვიზიტი ოჯახში, ხელის ჩაკიდება და კოცნა ოჯახის წევრების თანდასწრებით, ფოტოს დადება სოციალურ ქსელში და სხვა. ასევე, რესპონდენტებს სრულიად შეზღუდული ჰქონიათ პირადი სივრცე და მშობლებს სრული კონტროლი დაუწყარებიათ მათ გადაადგილებაზე, პირად მიმოწერაზე თუ სხვა აქტივობებზე. ყოფილა სახლიდან გაგდების მუქარა და ცემის შემთხვევებიც.

„[ხოდესაც გაიგეს] საკმაოდ პირობები შემექმნა, ოჯახში იყო ძადადობის შემთხვევებიც, მამაჩემი ცდილობდა, რომ ვეცემე, მუცელში ჩახტყმის მომენტების დაღიან ცუდად მახსოვს. მეუბნებოდნენ, რომ ოჯახიდან უნდა წავსულიყავი, თუ ახ შევიცვლებოდი, ახ მიღებდნენ ასეთს. დედაჩემი მაკონტროლებდა, რომ ჩოდესაც გეღეფონზე მიხეკავდა ვილაც, ახ მქონდა პიხადი სივხცე... მინდა ხოდმე, რომ ვუთხია, რომ „დედა, არ ვარ ტრადიციული ოხიენგაციის“ თუმცა მისი ჰომოფობიუხი განწყობის გამო, მიწევს დღემდე ჩხიღიღში ყოფნა და ვეხ ვუზიხეხებ...“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსელი ქადი, ხეგიონი.

სახლიდან გაგდების მუქარასთან ერთად, სახელდება სხვადასხვა სახის მუქარა, მათ შორის, სიკვდილით დამუქრება დედის მხრიდან, მუქარები პარტნიორების ოჯახის წევრების მხრიდან, რომ მათ ოჯახის წევრებსაც გააგებინებდნენ მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.

„ამჟამად ვცხოვრობ ოჯახთან ეხთად, მაგხამ მშობლებთან ახ მაქვს ძადიან კახგი დამოკიდებულება... დედაჩემი ზედმეტად წინააღმდეგია, საეხთოდ ჩემი ახსებობის, ასე რომ ვთქვათ, დედაჩემი სიკვდილითაც მემუქხება... ახ ვგხძნობ თავს უსაფხთხოდ, ხადგან ძადიან ბევი მიქაია მოდის, ძადიან ბევი უახყოფითი ენეხგია მოდის. ნუ ვცდიღობ ახდა, რომ საზღვახგახეთ წავიდე.“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, ხეგიონი.

მუქარის გარდა, ვხვდებით სახლიდან გაგდების შემთხვევებსაც. აღინიშნა ფაქტებიც, როდესაც რესპონდენტი ძალადობის თავიდან ასაცილებლად თავად გაიქცა სახლიდან, მაგრამ დააბრუნეს და პარტნიორსაც დააშორეს. სახლიდან გაგდების ან გაქცევის პრობლემაზე საუბრობენ ის რესპონდენტებიც, ვისაც თავად არ აქვს მსგავსი გამოცდილება, მაგრამ იციან თემის წევრების შესახებ, რომლებიც მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. ზოგიერთი შეიძლება სახლიდან არ გამოუგდიათ, მაგრამ უწევთ ტოქსიკურ გარემოში, სტრესსა და ფსიქოლოგიურ წნეხში ცხოვრება, ვინაიდან, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ვერ ახერხებენ სახლის დატოვებას.

შესაბამისად, რესპონდენტები თანხმდებიან, რომ უსახლკარობა თემში ხშირია, რაც, ძირითადად, ოჯახის მხრიდან გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის მიუღებლობით აიხსნება. ამ შემთხვევაშიც ერთადერთ დამხმარედ არასამთავრობო ორგანიზაციები, მეგობრები ან თემის სხვა წევრები სახელდება. განსაკუთრებით აღინიშნება უსახლკარობის პრობლემა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის. ოჯახიდან წამოსვლისა თუ გამოგდების ფაქტებს ემატება ის პრობლემაც, რომ ქირავნობის შემთხვევაში ხშირად უწევთ ბინის დატოვება მეპატრონის უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

„ყვედაზე დიდი პირობემა [გხანსგენდეხებს] აქვთ თემში. სამსახუხის შოვნაც ძადიან უჭიხთ, სახიღდანაც უფხო პაგაია ასაკში აგებენ, იმიგომ, რომ მაგათთვის უფხო შესამჩნევი ახის გახეგნუდად, ასე ვთქვათ. ანუ ყვედაზე ძადიან მაგათ უჭიხთ. მე ეგე ვფიქრობ.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსელი ქადი, თბიღისი.

განსხვავებული გამოცდილებებია ბინის ქირაობასთან დაკავშირებითაც. ქირით მცხოვრები რესპონდენტების ნაწილის შემთხვევაში, ბინის მეპატრონეებმა იციან დამქირავებლების გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ და აქვთ ნეიტრალური ან ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა. ამის მიუხედავად,

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ეს იშვიათია, ვინაიდან ლგბტქი თემის წევრებს უჭირთ ბინის შოვნა ბიუჯეტის მიუხედავად. არის მეზობლების მხრიდან ქორაობის და სახლიდან გამოგდების შემთხვევებიც.

„ჩემი პაჩგნიოხი, მაგალითად, სახლიდან გამოაგდეს მას შემდეგ, ხაც მისმა მეზობლებმა ეხთად დაგვიანახეს... ხოცა დიასახლისი სახლში დაბხუნდა, ჩანთები გახეთ გაუყაჩა და ფაქტობივად იძადადა, გამოაგდეს შუალამით სახლიდან.“ ფოკუს-ჯგუფი, დესბოსელი ქადი, ხესპონდენგი 1, თბილისი.

მსგავსი ინციდენტების თავიდან ასარიდებლად, რესპონდენტთა ნაწილი ბინის მეპატრონისგან საკუთარი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის დამალვას ცდილობს. მაგალითად, ლესბოსელი რესპონდენტი აცხადებს, რომ ის და მისი პარტნიორი ბინის მეპატრონეებს დეიდაშვილებად ეცნობიან - „ტყუილში და შიშში გვინვეს ცხოვრება“.

თავშესაფრის საკითხები

კვლევის მონაწილეები თანხმდებიან, რომ თავშესაფარი უდავოდ არსებითად მნიშვნელოვანია ლგბტქი თემის წევრებისთვის. მონაწილეთა ნაწილს აქვს ინფორმაცია, რომ სათემო ორგანიზაციამ/ორგანიზაციებმა ასეთი თავშესაფარი გახსნეს, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს არ არის საკმარისი არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ თავშესაფრის საჭიროების მქონე მცირე ნაწილისთვის.

„თემიდან საკმაოდ ბევხ ადამიანს სჭიხდება თავშესაფაჩი, იმიტომ, ხომ მუდმივად უწევს ამ ხადხს სახლიდან წამოსვლა, იმიტომ, ხომ ბევხ მშობელს მიუღებდობა აქვს და აქედან გამომდინაჩე, ჩჩებთან ხოდმე, ფაქტობივად, ქუჩაში. იმიტომ, ხომ თუ გავითვადისწინებთ საქაჩთვედოს ეკონომიკუხ მდგომაჩეობას, აჩ აჩის მაჩგივი სამსახუჩის შოვნა.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუადი ქადი, ხესპონდენგი 3, თბილისი.

რესპონდენტები თანხმდებიან იმ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია თავშესაფრის არსებობის შემთხვევაში. თუმცა არის საკითხები, რომლის გარშემოც აზრთა სხვადასხვაობაა. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ლგბტქი თემის წევრებისთვის თავშესაფრის არსებობის შემთხვევაში, მისი ადგილმდებარეობა მკაცრად გასაიდუმლოებული უნდა იყოს, ვინაიდან შეიძლება მაცხოვრებლები საზოგადოების მხრიდან აგრესიის ადრესატები/მსხვერპლნი გახდნენ. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა ნაწილი ფიქრობს, რომ ანონიმურობის დაცვა რთული იქნება და მაცხოვრებლები თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ, ამიტომ თავშესაფარს არ უნდა ჰქონდეს რაიმე ერთი შენობის სახე, სადაც თავმოყრილი იქნებიან თემის წევრები. ამ პრობლემას ამძაფრებს ისიც, რომ აგრესიის შემთხვევაში, მონაწილეებს, პოლიციისა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მოლოდინი და დაცულობის შეგრძნება არ აქვთ. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტები საუბრობენ პოლიციის მხრიდან უხეშ დამოკიდებულებაზეც. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ დააკავეს, შემდეგ კი ფსიქიატრიულში გადაიყვანეს, სადაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, პოლიციას უწოდებს „ყველაზე დიდი კანონდამრღვევს“ და „შოუს მაყურებელს“. ტრანსგენდერი მონაწილეები აცხადებენ, რომ მათ გამოძახებაზე პოლიცია გვიან რეაგირებს, რომ მათგან უსაფრთხოების დაცვას არ მოელიან, არ აღმოუჩენიათ

დახმარება ქუჩაში ფიზიკური ძალადობის შემთხვევაზე განყოფილებაში მისული ტრანსგენდერი ქალისთვის და სხვა.

„გვინდა თუ ახ გვინდა, ეს ინფორმაცია მაინც გავა და მაინც მოხდება გაჩვეული პიჩების მხიდან გაგება იმის, თუ სად იმყოფებიან ეს ადამიანები. და ადამიანები, რომლებსაც ისედაც გიჟავმიხებური აქვთ ცხოვრება და მათ თავშესაფარი სჭიხდებათ, პდუს, რომ დაეხმაროს სახელმწიფო, ხალცა პიობდემებს გაუხიბიან კიდევ, სადლაც, ასე ვთქვათ, თავს აფაჩებენ და უცებ სურ იმის შიში იყვნენ, რომ ეს ადამიანები მათ ახ მიუვაჩდნენ. და ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომ სამაჩთადამცავი უწყებები, ჩა თქმა უნდა, ამ ადამიანების მიმაჩთ ახ იქნებიან სოდიდაჩუდები... შეიძლება ნებისმიეჩ დხოს მოხდეს ასეთი ფაგადუჩი შედეგი, რომ ვილაცა მოკდან ქუჩაში და ეს ჩვეუდებჩივად აღქმადი იყოს ხალცა მომენცში ქვეყანაში...“ ფოკუს-ჯგუფი, გეი კაცი, ჩესპონდენტი 3, თბილისი.

სპეციფიკურად ლგბტქი ადამიანებისთვის განკუთვნილ თავშესაფრის იდეას რესპოდენტთა ნაწილი ეწინააღმდეგება თანასწორობის და სოციუმში ინტეგრირების პრინციპიდან გამომდინარე. ძალადობის მსხვერპლთა თუ უსახლკაროთა თავშესაფარი უნდა იყოს ყველასთვის და მათ შორის ლგბტქი ადამიანებისთვის, იმ პირობით, რომ დისკრიმინაციის და ბულინგის შემთხვევებს მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

მონაწილეთა აზრით, თავშესაფარზე, სავარაუდოდ, ყველაზე დიდი მოთხოვნა იქნება თბილისში, თუმცა საჭიროება სხვა ქალაქებშიც არის, ამიტომ, თავშესაფრის პოლიტიკის დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მოთხოვნა და საჭიროება ადგილობრივ დონეზე. რეგიონებში თავშესაფრის არსებობის იდეას ყველა არ იწონებს, ისევ და ისევ, უსაფრთხოების საკითხიდან გამომდინარე, ვინაიდან თბილისის გარეთ, განსაკუთრებით მცირე ზომის დასახლებებში, სადაც ყველა ყველას იცნობს და ყველაფერი იცის, კიდევ უფრო რთული იქნება ასეთი თავშესაფრის ანონიმურობის და შესაბამისად, უსაფრთხოების დაცვა. ამის მიზეზად სახელდება ისიც, რომ სახლიდან გამოგდებული ან ძალადობის მსხვერპლი თემის წევრებისთვის შეიძლება უმჯობესი იყოს თავის საცხოვრისს გაერიდონ და თბილისს შეაფარონ თავი. ასეთი, და არამარტო ასეთი, შემთხვევებისთვის, საჭიროდ დასახელდა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომ გარეთ დარჩენილმა ადამიანებმა თავშესაფრამდე გადაადგილება შეძლონ.

განსხვავებული მოსაზრებებია იმასთან დაკავშირებით, თავშესაფარი დროებითი უნდა იყოს თუ მუდმივი. მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თემის წევრებისთვის თავშესაფარი დროებითი უნდა იყოს, თუმცა არ უნდა განისაზღვროს თავშესაფარში დარჩენის შესაძლო ვადები – თემის წევრებს იქამდე უნდა შეეძლოთ თავშესაფარში დარჩენა, სანამ არ გამოუჩნდებათ დამოუკიდებლად ცხოვრების, სამსახურის დაწყების შესაძლებლობა. ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად კი, თავშესაფარი გარკვეულ სერვისებს უნდა სთავაზობდეს მაცხოვრებლებს – „აუცილებლად უნდა იყოს დროებითი, მაგრამ ეს დროებით არ უნდა მოიზრებდეს ერთ-ორ თვეს... ანუ კონკრეტული ვადა არ უნდა იყოს, უნდა იყოს ფეხზე წამოდგომამდე.“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი ქალი, რესპონდენტი 4, თბილისი. მნიშვნელოვანია მუდმივი საცხოვრებლის არსებობაც, რადგან თემის წევრებისთვის რთულია სამსახურის შოვნა და ბინის ქირაობა, მაშინაც კი, თუ ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვთ.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ სერვისებს, რომლებსაც, რესპონდენტების აზრით, თავშესაფარიუნდასთავაზობდეს მაცხოვრებლებს, ამაში მოიზრება საგანმანათლებლო პროგრამები და სოციალური სერვისები, რომლებიც მაცხოვრებლებს დაეხმარება

განვითარებაში და საცხოვრებლის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელ ცხოვრებაში. ასევე, საჭიროა სოციალური მუშაკის მომსახურება, რომელიც მაცხოვრებლებს განათლების მიღებასა და სამსახურის მოძიებაში დაეხმარება. თავშესაფარს შესაძლოა ჰქონდეს კვების ობიექტი, მეურნეობა, სათბურები ან სხვა სივრცეები, სადაც თავად მაცხოვრებლებიც შეძლებენ დასაქმებას.

„თუ იქნება პირობები, რომელიც დაეხმარება ადამიანს, რომ განვითარდეს და შეძლოს თავშესაფრიდან წამოსვლა და თავისი ცხოვრების გაგრძელება. ანუ სამუდამოდ თავშესაფარში ცხოვრება ახ მგონია, რომ იდეალური ვარიანტი იყოს. მაგარიტად, ამ შემთხვევაში კახგი იქნებოდა, თუ იქნებოდა იმდენად მოწყობილი, რომ პირობების მეშვეობით ადამიანები შეძლებდნენ შემდგომ ცხოვრების შეცვლას.“ ფოკუს-ჯგუფი, ევროსელი ქაღი, თბილისი.

მონაწილეთა აზრით, თავშესაფრით სარგებლობისთვის არ უნდა იყოს დაწესებული ასაკობრივი ზღვარი, თუმცა პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არასრულწლოვანებს, რომლებსაც სახლიდან აგდებენ საკუთარი გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციის გამო. არაერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მსგავს თავშესაფარში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის მომსახურება.

„[...] დახწმუნებული ვაჟი, რომ ძალიან ბევრი ადამიანი იქნება აქედან, რომელსაც ექმნება სხვადასხვა სახის პრობლემები. შეიძლება ზოგს ჰქონდეს სუიციდისკენ მიდრეკილება, ზოგს ჰქონდეს აგესია ან ფსიქოლოგიური პრობლემები და ვფიქრობ, რომ მუდმივად უნდა იყოს გახშემოხტყმული ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც ახიან კომპეტენტულები და შეუძლიათ, საჭირო დროს, საჭირო ადგილას, მოახდინონ საჭირო ჰეაგინება... ძალიან ბევრი ადამიანს გადავაჩქინთ და შესაძლოა, რომ ამან ისიც გამოიწვიოს, რომ სექსუალური სამუშაოსგანაც გავათავისუფლოთ ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებსაც ახ სუით...“ ფოკუს-ჯგუფი, ბისექსუალი კაცი, ჰეგონი.

ნახსენებია ისიც, რომ თავშესაფრის არსებობის პირობებში აუცილებელი იქნება პერსონალის გადამზადება მრავალფეროვნების, და არა მარტო სექსუალური მრავალფეროვნების, მიმართ მიმღებლობის გასაზრდელად და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ისიც აღინიშნა, რომ თუკი სახელმწიფოს მის აღმოსაფხვრელად სისტემური მიდგომა არ ექნებნა და არ იმუშავებს საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან თუ, ზოგადად, საზოგადოებასთან, ლგბტქი თემის წევრები მუდამ იქნებიან მოწყვლადები და იდგებიან უსახლკარობის პრობლემის წინაშე. რესპონდენტების ნაწილის აზრით, ცნობიერების ამაღლებაში სახელმწიფოს უფრო დიდი როლი აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა აქტორს, ვინაიდან მას შეუძლია სასკოლო კურიკულუმშივე დანერგოს ლგბტქი თემის საკითხები. გარდა ამისა, სახელმწიფოს უფრო ენდობიან როგორც განათლების სფეროს წარმომადგენლები, ისე ზოგადად საზოგადოება, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევასაც, როდესაც ერთ-ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სათემო ორგანიზაციას საშუალება არ მისცეს ლგბტქი საკითხების გარშემო ტრენინგი ჩატარებინა. ამასთან დაკავშირებით, აღინიშნება მედიის როლიც, რომელიც უმეტესად უარყოფით კონტექსტში აშუქებს ლგბტქი თემის საკითხებს, რაც საზოგადოების განწყობებსა და დამოკიდებულებებზე უარყოფითად აისახება.

„თავშესაფაჩში სამი თვე მოვედი, წავედი, ანუ ხა ხდება მეხე? ჩემი ცხოვრება ახ იცვლება ხა, უნდა უზიუნვედყოს, ძადიან ჭაჭვუხად მიდის ყვედაფეხი. იქ ბაზხის ხეგუდაცია ახის საჭიხო ამ კუთხით, ძადიან ბევხი ხადაცაა საჭიხო, უნდა უზიუნვედყოს ბენეფიციახის განათლება ხა. თუ უმაღლესი ახა, კოდეჭში მაინც, კოდეჭში უნდა აღმოფხვხას მეხე დისკჰიმინაციუდი ქმედებები. ძადიან ბევხი სამუშაო ახის ხეადუხად და ესე უბხადოდ ხადაცა თავშესაფხის გახსნა და შემოდით, ესე ახა.“ ინდივიდუადუხი ინგეხვიუ, გხანსგენდეხი კაცი, თბიდისი.

სოციალური დაცვის საკითხი მრავალ ურთიერთგადამკვეთ პლასტს მოიცავს და თანაბრადაა დაკავშირებული უთანასწორო მოპყრობასთან, ოჯახში ჩადენილ ძალადობასთან, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან. კვლევა აჩვენებს, რომ მრავალმხრივი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკული აუცილებლობის არის თემის წევრებისათვის და შეუძლია რეალური პოზიტიური გავლენა მოახდინოს ლგბტქი ჯგუფის ცხოვრების ხარისხზე.

შეჯამება და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევამ მიზნად დაისახა ლგბტქი ჯგუფის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა, მიზეზების იდენტიფიცირება და პოლიტიკაში არსებული გამოწვევების გამოვლენა. კვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი პროგრესისა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვის კუთხით, სახელმწიფოს პოლიტიკა კვლავ მხოლოდ ზედაპირულ პრობლემებზე და მათ ფორმალურ გადაწყვეტაზე ფოკუსირდება, რაც არსებითად ართულებს ლგბტქი ჯგუფის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებებისა და უფლებების დღის წესრიგში დაყენებას. ქვეყანაში კვლავ თვალსაჩინოა აცდენა კანონმდებლობასა და რეალურ პოლიტიკას შორის, რაც ეჭვქვეშ აყენებს საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტიანობას და მიზნებს. ეს გამოიხატება ლგბტქი ჯგუფის მიმართ ჩაგვრის შენარჩუნებასა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუარესებაში, რაც ნათლად გამოჩნდა წინამდებარე ანალიზის ფარგლებში ჩატარებულ თვისებრივ კვლევაში.

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ლგბტქი ადამიანების მიმართ არსებული უთანასწორობის სხვადასხვა გამოვლინებას შორის ღრმა კავშირი არსებობს. შესაბამისად, ლგბტქი ჯგუფის წინაშე არსებული გამოწვევების გადაწყვეტა საჭიროებს მათ პოლიტიკურ/კულტურულ აღიარებას, უთანასწორობის ფუნდამენტურ მიზეზებთან ბრძოლას და არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებზე ფოკუსირებას.

ამრიგად, ლგბტქი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები უნდა დაიძლიოს კომპლექსური ზომებით: როგორც სხვადასხვა უწყების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავად თემის მონაწილეობით დასახული პოლიტიკის შექმნით და ამოქმედებით. კვლევაში იდენტიფიცირებული პრობლემები საშუალებას იძლევა შემუშავდეს და დაისახოს კონკრეტული გზები სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში, რაც, საბოლოო ჯამში, მოემსახურება არა მხოლოდ ლგბტქი ადამიანთა წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გამოსწორებას, არამედ იმ ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვის კეთილდღეობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს დაბალი წვდომა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე და სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებების მნიშვნელობის გააზრების ნაკლებობა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებებმა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობამ

- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ლგბტქი ჯგუფის საჭიროებებს, როგორც ძალადობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის, ისე მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
- საქართველოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა კომისიამ აწარმოოს მთავრობის შესაბამისი უწყებების მონიტორინგი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისა და მათი უფლებების დაცვისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესრულების მიმართულებით.

- მიიღოს შესაბამისი ზომები ლგბტქი ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების, სტიგმისა და წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად. ეს ზომები უნდა ეფუძნებოდეს არსებული დამოკიდებულებების მიზეზების შესწავლას და მათი გავლენის ანალიზს როგორც ლგბტქი ჯგუფზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე. თანასწორობაზე ორიენტირებულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში ამ საკითხების აქტიური შეტანა როგორც სამოქალაქო განათლების სწავლების, ისე ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების შესაბამის კურიკულუმებში.⁸⁶

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ

- მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ყველა საჭირო ზომა საგანმანათლებლო სივრცეებში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გულისხმობს ძალისხმევას გაძლიერებას პედაგოგებისა და სკოლაში სხვა დასაქმებულთა ცნობიერების ასამაღლებლად.
- გააძლიეროს ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ინკლუზია, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოების/მშობლების მუდმივი ინფორმირება სექსუალობის შესახებ განათლების საჭიროებისა და მისი სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ. ეს ასევე გულისხმობს, დებინფორმაციის მონიტორინგს და ანტიგენდერული ჯგუფების მხრიდან მცდარი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას.⁸⁷
- გააძლიეროს ძალისხმევა ყველა სახის უთანასწორობის დასაძლევად დ განათლებაზე ყველას ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. იგულისხმება სოციალური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვა ბარიერების აღმოფხვრა და სხვა კულტურული ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლა.
- გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში გენდერული თანასწორობის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით გამოწვეული პრობლემები, დასახოს მათი გადაჭრის გზები ახალ სამოქმედო გეგმაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ

- უზრუნველყოს პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად შესაბამისი სოციალური მექანიზმების ამუშავება, რაც ლგბტქი ადამიანებს და სოციალურად მოწყვლად ოჯახებს საშუალებას მისცემს მიიღონ შესაბამისი დახმარება.
- გააძლიეროს თანამშრომლობა კერძო სექტორთან, რათა ხელი შეუწყოს ღირსეული შრომის უფლების დაცვის პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მის პრაქტიკაში დანერგვას.

⁸⁶ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ - სპეციალური ანაგრიში ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021

⁸⁷ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ - სპეციალური ანაგრიში ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021

- უზრუნველყოს სტიგმის, დისკრიმინაციისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფალ ჯანდაცვის სერვისებზე სრული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული სხვა ღონისძიებებთან ერთად, მოიცავს ხარისხის მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმების ამუშავებას სამინისტროს დონეზე.
- უზრუნველყოს პაციენტთა კონფიდენციალურობის დაცვის მაღალი ხარისხი საექიმო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა მხრიდან და ხელი შეუწყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვას, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესაბამისი მექანიზმების ამოქმედებას ჯანდაცვის დაწესებულებებში.
- დაიწყოს მუშაობა ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და პროტოკოლების შექმნაზე ტრანს ადამიანთა ჯანდაცვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი უფლებების დასაცავად/
- შექმნას უსახლკარობის დაძლევის ეროვნული სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს „უსახლკარობის“ დეფინიციის შემუშავებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს უსახლკარობასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმების დანერგვას და მონაცემების შეგროვებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სამუშაოს პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართულობა. სტრატეგია უნდა შეეხოს როგორც უსახლკარო, ისე უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებს, მათ შორის ლგბტქი ადამიანებს.
- მნიშვნელოვანია, რომ სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებში (სოციალური დაცვა, ჯანდაცვა, შრომისა და დასაქმების პოლიტიკა) გათვალისწინებული და ინტეგრირებული უნდა იყოს ლგბტქი ჯგუფთან დაკავშირებული საჭიროებები და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს პარლამენტმა

- ხელი შეუწყოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებითა და ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი ვალდებულებების ეფექტიან პრაქტიკული განხორციელებას და საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე საზედამხედველო მანდატის ფარგლებში განახორცილოს მის მიერ მიღებული ზომების ეფექტიანი მონიტორინგი.⁸⁸
- საქართველოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ განახორციელოს თემატური მოკვლევა საქართველოს მთავრობაზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის შესაფასებლად ლგბტქი ადამიანთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან მიმართებით (დასაქმება და შრომითი უფლებები, სოციალური დაცვა და საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვის სისტემა და ხელმისაწვდომობა) და ასევე, მოახდინოს მოკვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციების აღსრულების მონიტორინგი.

⁸⁸ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ - სპეციალური ანაგრიში ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021

მონაწილეთა მახასიათებლები	ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების რაოდენობა	განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით		სულ
		თბილისი	თბილისის გარეთ	
ფოკუს ჯგუფების მონაწილეები				
გვი კაცები	2	6	6	12
ლესბოსელი ქალები	2	8	7	15
ბისექსუალი კაცები	2	7	6	13
ბისექსუალი ქალები	2	6	6	12
ტრანსგენდერი ქალები	2	4	3	7
სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტები				
ტრანსგენდერი კაცები	4	2	2	4
არაბინარული იდენტობის მქონდე ადამიანები	4	2	2	4
სულ				67

